# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 19 აგვისტო, 2010 წელი.

№154 (6520)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

NEWSWEEK-ის კვლევა

# თურმე ბურკინა-ფასოც ჩვენზე მეტადა ფასობს!

**ნუთუ მართლა ასეთი არაფრად ჩასაგდები ქვეყანა ვართ?! აბა, რას ვტრაბახობთ, ბატონებო, საქართველო სახელმწიფოდ შედგაო, დემოკრატიის შუქურა ვართო, ჩვენი ეკონომიკა ჩამოუშლელი და მდგრადად განვითარებადიაო, ჩვენი ჯანმრთელობისა და განათლების რეფორმები სხვებისთვისაც მისაბაძიაო?!.**

**ამერიკულმა ჟურნალმა NEWSWEEK, რომელმაც 100 ქვეყნის შედარებითი ანალიზი გააკეთა ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ცხოვრების ხარისხის, პოლიტიკური სიტუაციისა და ეკონომიკის განვითარების დინამიკის დონის მიხედვით, ფინეთი აღიარა მსოფლიოს საუკეთესო ქვეყნად. რუსეთმა რეიტინგში მხოლოდ 51-ე ადგილი დაიკავა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კი — მე-11.**

ჟურნალის აზრით, მსოფლიოში საუკეთესო ქვეყანაა ფინეთი, რომელსაც უკავია პირველი ადგილი განათლების დონის მიხედვით, მეოთხე — ცხოვრების ხარისხის, მეხუთე პოზიცია პოლიტიკური ვითარების, მერვე — ეკონომიკის დინამიკის, მე-17 — ჯანმრთელობის დონის მიხედვით.

რუსეთმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით რეიტინგში მხოლოდ 51-ე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ განათლებისა და განვითარების დინამიკის დონის მიხედვით ფედერაციაში ყველაფერი არცთუ ისე ცუდია — 31-ე და 36-ე ადგილები შესაბამისად. ცხოვრების ხარისხის მიხედვით რუსეთის ფედერაცია 51-ე ადგილზეა. რუსეთში უარესი მაჩვენებლებია ჯანმრთელობის დაცვისა და პოლიტიკური სიტუაციის დონის მიხედვით: ორივე მაჩვენებლით რუსეთის ფედერაციას უკავია 75-ე ადგილი. აღსანიშნავია, რომ ჩეხეთი, პოლონეთი, ლატვია, ესტონეთი და უკრაინა რეიტინგში უფრო მაღლა არიან, ვიდრე რუსეთის ფედერაცია.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩამონათვალში მე-11 სტრიქონი დაიკავა. ამ ქვეყანამ ეკონომიკის დინამიკით რეიტინგში მეორე პოზიცია დაიკავა. არც ცხოვრების ხარისხის დონეა ცუდი — მეცხრე ადგილი. ოდნავ უარესია მაჩვენებლები ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების დონის მიხედვით — 26-ე ადგილი. ამ ქვეყანას საერთო შეფასებით გაუსწრეს შვეიცარიამ და შვედეთმა, რომლებიც რეიტინგზე განთავსდნენ მეორე და მესამე ადგილებზე. მათ მისდევენ ავსტრალია, ლუქსემბურგი, ნორვეგია, კანადა და იაპონია. უარეს ქვეყნებად აღიარეს კამერუნი, ნიგერია და ბურკინა-ფასო.

***„სრ“ რედაქციისგან:***

*როგორც ვხედავთ, საქართველო ამ ასეულში საერთოდ ვერ მოხვდა.*

*ვაი რომ, **თურმე ბურკინა-ფასოც ჩვენზე მეტადა ფასობს!***

*ქვემოთ გთავაზობთ ასეულში მოხვედრილი ქვეყნების ჩამონათვალს.*

*1. ფინეთი*
*2. შვეიცარია*
*3. შვედეთი*
*4. ავსტრალია*
*5. ლუქსემბურგი*
*6. ნორვეგია*
*7. კანადა*
*8. ნიდერლანდები*
*9. იაპონია*
*10. დანია*
*11. შეერთებული შტატები*
*12. გერმანია*
*13. ახალი ზელანდია*
*14. გაერთიანებული სამეფო*
*15. სამხრეთ კორეა*
*16. საფრანგეთი*
*17. ირლანდია*
*18. ავსტრია*
*19. ბელგია*
*20. სინგაპური*
*21. ესპანეთი*
*22. ისრაელი*
*23. იტალია*
*24. სლოვენია*
*25. ჩეხეთის რესპუბლიკა*
*26. საბერძნეთი*
*27. პორტუგალია*
*28. ხორვატია*
*29. პოლონეთი*
*30. ჩილე*
*31. სლოვაკეთი*
*32. ესტონეთი*
*33. უნგრეთი*
*34. ლიტვა*
*35. კოსტა რიკა*
*36. ლატვია*
*37. მალაიზია*
*38. ბულგარეთი*
*39. რუმინეთი*
*40. კუვეიტი*
*41. პანამა*
*42. პერუ*
*43. არაბეთის გაერთიანებული საამიროები*
*44. ურუგვაი*
*45. მექსიკა*
*46. არგენტინა*
*47. იამაიკა*
*48. ბრაზილია*
*49. უკრაინა*
*50. კუბა*
*51. რუსეთი*
*52. თურქეთი*
*53. იორდანია*
*54. ყატარი*
*55. დომინიკის რესპუბლიკა*
*56. ბელარუსი*
*57. ალბანეთი*
*58. ტაილანდი*
*59. ჩინეთი*
*60. ომანი*
*61. ყაზახეთი*
*62. კოლუმბია*
*63. ფილიპინები*
*64. საუდის არაბეთი*
*65. ტუნისი*
*66. შრი ლანკა*
*67. მაროკო*
*68. პარაგვაი*
*69. აზერბაიჯანი*
*70. ეკვადორი*
*71. ვენესუელა*
*72. ელ სალვადორი*
*73. ინდონეზია*
*74. ეგვიპტე*
*75. ნიკარაგუა*
*76. ჰონდურასი*
*77. ბოლივია*
*78. ინდოეთი*
*79. ირანი*
*80. ბოტსვანა*
*81. ვიეტნამი*
*82. სამხრეთ აფრიკა*
*83. სირია*
*84. გვატემალა*
*85. ალჟირი*
*86. განა*
*87. კენია*
*88. ბანგლადეში*
*89. პაკისტანი*
*90. მადაგასკარი*
*91. სენეგალი*
*92. იემენი*
*93. ტანზანია*
*94. ეთიოპია*
*95. მოზამბიკი*
*96. უგანდა*
*97. ზამბია*
*98. კამერუნი*
*99. ნიგერია*
*100. ბურკინა-ფასო*



სპეკულაცია

# არც ისე „წვიმს“, როგორც „ქუხს“

## ანუ ვინ და როგორ ითბობს ხელს ხალხის გასაჭირზე

**იქნებ ზოგიერთს გაუკვირდეს, რად ჩავსვი ბრჭყალებში ცნობილი ფრთიანი ფრაზის ეს ორი სიტყვა. იმად, რომ იგი პურის გაძვირების პროცესთან დაკავშირებით მინდა გამოვიყენო. როგორც ცნობილია, პური გაძვირდა, მაგრამ იმდენად არ უნდა გაძვირებულიყო, როგორც გაძვირდა. რატომ?**



თუ ჩვენს სიტუაციას განვიხილავთ, ამაზე ბევრად უარესი წლები გავიარეთ და, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში მოხდა, ჩვენთანაც გონივრული ღონისძიებებია განსახორციელებელი, რათა პირველადი მოთხოვნილების პროდუქტი მკვეთრად არ გაძვირდეს.

ეს აუცილებელია ხალხისთვისაც და იმიტომაც, რომ, როგორც ცნობილია, დეფიციტსა და მაღალ ფასებზე მუდამ ითბობდა და ითბობს ხელს მავანი. ამიტომაც სახელმწიფომ ასეთ ადამიანებს საბაზრო ეკონომიკაში თავისი არაპოპულარული უხეში ჩარევით ხელი არ უნდა შეუწყოს.

სამწუხაროდ, ჩვენში ასე არაა. ამის დასტურად მოვიყვან მაგალითს.

თითქოსდა ადგილობრივი მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით ქვეყანაში შეზღუდეს ფქვილის შემოტანა. ხორბალი ძირითადად ერთ ჯგუფს შემოჰქონდა. შედეგად მივიღეთ ფქვილის ფასი (ერთი ტომარა 29-30 ლარიძ, რომელიც არც დაბლა იწევდა და არც ხარისხით არ გამოირჩეოდა დიდად.

და ეს იმ დროს, როდესაც უკრაინაში, რუსეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ზუსტად ასეთი ფქვილი 15-16 ლარზე მეტი არ ჯდებოდა.

დაგებადებათ კითხვა, ვინ აფათურებს ხაბაზის ჯიბეში ხელს? **ვინ და სწორედ ის, ვინც დღეს, მიუხედავად დიდი ნათესისა, რაზეც სოფლის მეურნეობის და სურსათის მინისტრი ლაპარაკობს, ზოგიერთმა წისქვილმა შეწყვიტა ფქვილის გაცემა. და ეს მაშინ, როდესაც მათ მთელი წლის მარაგები აქვთ. უმეტესობამ კი 30-ლარიანი ერთი ტომარა ფქვილის ფასი 35 ლარზე აიყვანა და კიდევ გაძვირებას ლამობს.**

ჟურნალისტები და უბრალო ადამიანები პურის თუნდაც 5 თეთრით გაძვირებას მტკივნეულად აღიქვამენ. **სინამდვილეში რა უჯდებათ თავიანთი პროდუქცია საქართველოს წისქვილებს, რომლებსაც 5 და 10 ლარი არ ჰყოფნით? ნუთუ ეს ძნელი დასათვლელია?**

როცა ქვეყანას უჭირს, როცა ხალხი დამშეულია, იმ **ადამიანებს, ვისაც სახელმწიფომ ხელი შეუწყო (სხვა ფქვილს გზა გადაუკეტაძ იმდენი შეგნება არ უნდა ეყოთ,** რომ 100 და 200-პროცენტიანი რენტაბელობა ცოტათი მაინც შეიმცირონ? როგორც ჩანს, ამას ვერც სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ვერც მავანი ვერ ერევა, ამიტომ საბაზრო ეკონომიკა და ბაზარი უნდა გაუშვან და ყველაფერი მოწესრიგდება. გარწმუნებთ, 2-3 ლარზე მეტი ფქვილის ფასი არ გაიზრდება.

**მაგალითისთვის: რუსეთმა თავის ბაზრის დაცვის მიზნით შეაჩერა ხორბლის ექსპორტი. უკრაინამ ხორბლის კრიზისის დროს დღგ 10 პროცენტით შეამცირა, საგადასახადო შეღავათები დააწესეს მოლდავეთსა და აზერბაიჯანში. ჩვენში კი... სუფთა სპეკულაციაა გაჩაღებული.**

**მამია იაშვილი,**
მეწარმე.

ინფორმაცია

## ხორბალზე შეზღუდვები უკრაინამაც დაიწყო

**რუსეთის შემდეგ ხორბალზე შეზღუდვებს უკრაინაც აწესებს. უკრაინის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, რომ 2010 წლის ბოლომდე შეზღუდოს ხორბლის ექსპორტი, რათა უზრუნველყოს ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფა. ამის შესახებ უკრაინის აგრარული პოლიტიკის მინისტრმა ნიკოლაი პრისიაჟნუკმა ქვეყნის აგრარული კავშირის წარმომადგენლებთან გამართულ თათბირზე განაცხადა. აღნიშნულის მისაღწევად ქვეყანაში შემოღებული იქნება კვოტირებული შეჯერებული მოცულობა 2,5 მლნ ტონა.**

უკრაინის მინისტრთა კაბინეტი განიხილავს საკითხს კვოტების მოცულობასთან დაკავშირებით, რომელიც ხორბლის მწარმოებლებთან იქნება შეთანხმებული. აგროპოლიტიკის სამინისტრო ეთანხმება წლის ბოლომდე მხოლოდ 2,5 მლნ. ტონის ექსპორტს. აღნიშნულ მოცულობაში გათვალისწინებული არ არის 1 მლნ. ტონა ხორბალი, რომელიც პორტებში იმყოფება. კვოტირება არ შეეხება სიმინდს.

**ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ**

წარდგენა

# გოგო ვარ და მოვედიო...

**საქართველო ტურისტული მიმზიდველობის მხრივ ყოველთვის გამორჩეული ქვეყანა იყო. ბოლო დროს ტურიზმის, როგორც ეროვნული ეკონომიკის დარგის შემდგომი განვითარების მიმართულება ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტად გადაიქცა. ამდენად, იმას, თუ ვინ უხელმძღვანელებს ამ დარგს ახლო მომავალში, დიდი მნიშვნელობა აქვს.**

ამიტომ, სულაც არ არის გასაკვირი ის ხალხმრავლობა, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ვერა ქობალიას მიერ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარის **მაია სიდამონიძის** ოფიციალურ წარდგენისას იყო. დამსწრეთა წინაშე დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარის წარდგენისას, რომელთა შორის იყვნენ საქართველოში მოქმედი შემომყვან





და გამყვან ტუროპერატორთა ასოციაციების ხელმძღვანელები, სასტუმროებისა და ავიაკომპანიების მენეჯერები, ტურიზმის სფეროს დამოუკიდებელი ექსპერტები, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლები და ჟურნალისტები, ეკონომიკის მინისტრმა, კერძოდ, განაცხადა:

— მაია სიდამონიძე ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვების შედეგად დაინიშნა, — თქვა ვერა ქობალიამ. — ხშირად გვეკითხებიან: რა საერთო აქვს ტურიზმსა და ეკონომიკურ განვითარებას?. უნდა გითხრათ, რომ ისინი ერთმანეთთან უშუალო კავშირში არიან, რადგან რაც მეტი დამატებითი სამუშაო ადგილი შეიქმნება, მოსახლეობა მეტად დასაქმდება, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან დარგში, როგორიცაა თუნდაც სოფლის მეურნეობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნებისმიერი ახალი ტურისტი, ფაქტობრივად, პოტენციური ინვესტორია. უნდა გითხრათ, რომ სამომავლოდ სამოქმედო გეგმა რეალურად არსებულ ვითარებას ითვალისწინებს: სტატისტიკური მონაცემებით, ტურიზმისგან მიღებული შემოსავალი ბოლო წლის განმავლობაში საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 4 პროცენტს შეადგენს, მაშინ, როცა მეზობელ სომხეთში ეს მაჩვენებელი 10 პროცენტია, ხოლო ჩვენთან შედარებით ამ მხრივ არცთუ უფრო მიმზიდველ ხორვატიაში, ეს ნიშნული 26 პროცენტის დონეზეა, სადაც წელიწადში 10 მილიონი ტურისტი ჩადის. თუ პოტენციურ ტურისტთა რიცხოვნობას და მათ მიერ დახარჯულ ფულს გავითვალისწინებთ, ტურიზმმა ქვეყანას ახლო მომავალში დიდი შემოსავალი უნდა მოუტანოს.

მინისტრის გამოსვლის შემდეგ თავისი სამომავლო მოღვაწეობის ნიშან-სვეტები დამსწრეთ ქალბატონმა მაია სიდამონიძემ გააცნო.

— ტურიზმის სფეროში მუშაობის გამოცდილებამ და ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერამ გადამაწყვეტინა მეტად საპასუხისმგებლო შემოთავაზების მიღება, რისი მადლობელიც ვარ, — თქვა ქალბატონმა მაია სიდამონიძემ. — მუშაობის გეგმა საქართველოში ტურიზმის განვითარებასა და სტრატეგიულ გეგმას მოიცავს, რომელიც როგორც შიდა, ასევე გარე ტურიზმის მასშტაბების გაზრდას ითვალისწინებს, რაც, თავის მხრივ, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას გულისხმობს, ამასთან ერთად მომსახურების დონის გაზრდას შესაბამისი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებით. ცხადია, აქ ინფრასტრუქტურის განვითარება და კერძო ბიზნესთან მჭიდრო საქმიანი ურთიერთობის განმტკიცებაც იგულისხმება. სამუშაო პროცესი ყოველმხრივ გამჭვირვალე იქნება, მუშაობის შედეგები კი თავად საზოგადოებრიობამ შეაფასოს, — თქვა საქართველოს ახალმა „მთავარმა მასპინძელმა“.

**ოთარ ტურაბელიძე**

დედაქალაქი

# თბილისის „მოსვენებული“ ქუჩები

## ანუ რით ავსებენ პაუზებს არჩევნებს შორის

**სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჟურნალისტები ჩვენი საერთო სახლიდან, გამომცემლობა „სამშობლოდან“ მოურიდებლად გამოგვყარეს, სადაც შემდეგ ლტოლვილები შეასახლეს. მაშინ მრავალი უსახლკაროდ დარჩენილი რედაქციის კოლექტივს გამომცემლობის წინ, კოსტავას ქუჩაზე წიგნებით გარემოვაჭრეებიც მიაყოლეს, რომლებმაც თავიანთი სტელაჟებისა და გასაყიდი წიგნების უკან დაბრუნებაზე დიდხანს იწვალეს და მართალია, ბოლოს კუთვნილი ქონების უკან დაბრუნება კი შეძლეს, თუმცა ერთობ „შეკვეცილად“.**

იმ აგვისტოს დაწიოკების შემდეგ არასახელისუფლებო ჟურნალ-გაზეთების რედაქციებსა და მათი თანამშრომლებისთვის თუნდაც მცირედით ხელშეწყობაზე ეკონომიკის სამინისტროს, რომელიც სახელმწიფოს სახელით ფლობს აწ უკვე ყოფილი გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობას, არც უფიქრია, თუმცა ამის შესახებ დღემდე იმდენჯერ ითქვა, რომ უბრალო გულისტკივილის გამოხატვამაც ლამის აზრი დაკარგა, თან ამ მასალის თემაც სხვაა.

აკი წელან აღვნიშნეთ, რომ ჟურნალისტების „სამშობლოდან“ გამოყრას, წიგნების, ჟურნალ-გაზეთების გარემოვაჭრეებიც მიაყოლეს, თუმცა მერე, როცა შენობაში ლტოლვილები შეასახლეს, ეს ხალხიც ნელნელა დაბრუნდა თავიანთ ადგილზე, მიუხედავად ამისა დროდადრო მაინც ჭორები ვრცელდებოდა, შენობა უკვე გაიყიდა და აქედან ისევ აგვყრიანო. აქვე ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ ეს შენობა დღესაც არ არის გაყიდული, ამდენად, ჟურნალისტების უსახლკაროდ დატოვება მთლიანად ხელისუფლების კისერზეა. როგორც ჩანს, ამ მხრივ აგვისტო ეკონომიკისა და, თანაც, ამჯერად მდგრადი განვითარების, ასევე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროებისთვის აქტიურ მოქმედებათა დროა და ამჯერადაც ასე მოხდა: თავდაპირველად შენობიდან ლტოლვილები გამოასახლეს, მერე კი ერთ მშვენიერ დილას როცა წიგნებით გარე მოვაჭრეებმა მუშაობის დაწყება დააპირეს, აღმოჩნდა, რომ მათი საქონელი და სტელაჟები პოლიციას ისევ ღამე სადღაც გადაუტანია. რამდენიმე დღე მოანდომა ამ ხალხმა თავისი საქონლის კვალის მიგნებას, თუმცა ყოფილი გამომცემლობის წინ გაჩერებისა და წიგნების გაყიდვის ნებას მათ აღარ აძლევენ.



თბილისის ცენტრალურ, ანუ მერიის განსაზღვრით, პირველი კატეგორიის ქუჩების გარე მოვაჭრეებისგან დაცლის ტალღამ მთელი ქალაქი მოიცვა, და რაც ნამდვილად მისასალმებელია. უამრავი საგაზეთო თუ სატელევიზიო მასალა მომზადდა იმის თაობაზე, რომ ხალხი უკმაყოფილებას გამოთქვამდა დედაქალაქის ქუჩების ბაზრებად გადაქცევის გამო, სადაც კვების პროდუქტები, საოჯახო საქონელი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი და ათასი სხვა რამ იყიდებოდა მტვერსა და სიბინძურეში.

იხ. 4 გვ.

პოზიცია

# ხელისუფლებამ კრიზისებს კი გაუძლო, მაგრამ რის ფასად?

გვესაუბრება ფილოსოფოსი, კულტურის ანთროპოლოგი ზაზა შათირიშვილი



**— ბატონო ზაზა, სახალხო კრების ორგანიზატორები აცხადებენ, რომ წარმომადგენლობითი სახალხო კრება გრანდიოზული იქნება და შემოდგომაზე ხელისუფლებასთან სერიოზული პოლიტიკური ბრძოლა დაიწყება. როგორ აფასებთ თავად სახალხო კრების იდეას და რამდენად ეფექტური ინსტრუმენტი შეიძლება აღმოჩნდეს სახალო კრება ოპოზიციისთვის?**

— არ მინდა ვთქვა, რომ სახალხო კრების იდეა მკვდრადშობილი იდეაა, მაგრამ ვერ ვხედავ, რა საჭიროა მისი შექმნა. პარლამენტი, როგორც ერთი წარმომადგენლობითი სისტემა, არ მუშაობს და მეორე როგორღა იმუშავებს, არ ვიცი. წარმომადგენლობით ორგანოს მნიშვნელობა მაშინ აქვს, როცა იგი ქმედუნარიანია, ჩვენთან კი ფაქტია, რომ ხალხი ასეთ წარმომადგენლობით ორგანოს ვერ ირჩევს.

**— რაც არ უნდა მრავალრიცხოვანი და წარმომადგენლობითი იყოს სახალხო კრება, იურიდიული თვალსაზრისით მისი უფლებამოსილება დასავლეთში ბევრ კითხვას ხომ არ გააჩენს?**

— დასავლეთში ბევრი კითხვა შეიძლება გაჩნდეს, მაგრამ დასავლეთსაც რომ თავი დავანებოთ, პრობლემა ის არის, რომ ჩვენთან პარლამენტი, როგორც წარმომადგენლობითი ორგანო არ მუშაობს და სახალხო კრებაც ვერ იმუშავებს. ამიტომ ვამბობ, რომ აზრს ვერ ვხედავ წარმომადგენლობითი ორგანოს პარალელური სტრუქტურის შექმნაში. ჩვენთან რაც არ უნდა მოხდეს, დასავლეთი იმის ლეგიტიმაციას მოახდენს. დასავლეთი რეალობას უწევს ანგარიშს და ამიტომ ვამბობ, ჩვენთან რევოლუციაც რომ მოხდეს, დარწმუნებული იყავით, რომ დასავლეთი მის ლეგიტიმაციას მოახდენს. თუ, რა თქმა უნდა, ხელისუფლებაში საშინელი ძალები არ მოვიდნენ.

**— გასაგებია, რომ სახალხო კრების ორგანიზატორებს ხელისუფლებასთან საკმაოდ ბევრი პოლიტიკურ-იდეოლოგიური პრეტენზიები აქვთ, მაგრამ ხელისუფლებასთან ბრძოლის ამგვარ სტრატეგიას, 90-იან წლებში „კონგრესის“ შექმნას საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირება მოჰყვა...**

— თავის დროზე კონგრესმა არ იმუშავა. იგი იმთავითვე მკვდრადშობილი აღმოჩნდა. გამსახურდიას ხელისუფლება მისივე ხელისუფლებიდან წამოსულმა ხალხმა, სიგუამ და კიტოვანმა დაამხო. შევარდნაძის ხელისუფლება შევარდნაძის ხელისუფლებიდან წამოსულმა ჟვანიამ და სააკაშვილმა დაამხეს. კონგრესს გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში გადამწყვეტი როლი არ უთამაშია. ჩვენთან ამ პროცესებში ოპოზიციას გადამწყვეტი როლი იმის გამო არასდროს არ უთამაშია, რომ ჩვენში ოპოზიციის ისტებლიშმენტი, როგორც სტრუქტურა, რეალურად არ არსებობს. ამიტომაცაა, რომ საქართველოში ხელისუფლების დამხობის თითქმის 20-წლიან პრაქტიკაში მხოლოდ სახელისუფლებო ვერტიკალი მონაწილეობს.

ჩვენ ლათინოამერიკული ტიპის საზოგადოება ვართ, ამიტომაცაა, რომ ჩვენთან ლათინოამერიკული ქვეყნების მსგავსი ხელისუფლება გვყავს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ლათინოამერიკულ ქვეყნებს ძლიერი ჯარი ჰყავთ. ჩვენთან არ არიან პოლკოვნიკები, რომლებსაც „ეყოფათ მამაცობა“, რომ იარაღით დაამხონ ხელისუფლება. სამწუხაროდ, საქართველოში სამხედრო ელიტამ არსებობა საბჭოთა პერიოდში 50-იან და 60-იან წლებში დაასრულა. ამიტომაცაა, რომ ქართველი მეომარი აღარ არის.

**— რა შეიძლება ითქვას, თუ ამ პროცესებს პოლიტიკური კულტურის თვალსაზრისით განვიხილავთ? ვითარებაში, როცა ხელისუფლება არც ვადამდელი საპრეზიდენტო და არც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას არ აპირებს, უპრიანი ხომ არ იქნებოდა, ვთქვათ, მეტი დემოკრატიისთვის მოძრაობის გაშლა? ყოველ შემთხვევაში ამგვარი რამ უფრო გასაგები იქნებოდა...**

— დემოკრატია გარკვეული თამაშის წესებს ნიშნავს და ქვეყანაში რამდენიმე ელიტის არსებობას ითვალისწინებს. თამაშის წესები ამ ელიტებს შორის შეთანხმებული უნდა იყოს. სალი აზრიდან გამომდინარე, ევროპაში სწორედ ასე ჩამოყალიბდა და ამგვარად პროცესების განვითარება ჩვენთვის მისაბაძი მაგალითია. ხელისუფლება და ხელისუფლებასთან დაახლოებული ინტელექტუალები პოლიტიკურ კულტურას უწოდებენ მხოლოდ არსებული სახელისუფლებო ვერტიკალის თამაშის წესების გაზიარებას. თუ ასეა, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ყველაზე დიდი პოლიტიკური კულტურა აქვს გიორგი თარგამაძეს და შემდეგ ირაკლი ალასანიას. რას გულისხმობს თავის პოლიტიკურ კულტურაში პარლამენტსგარეთ დარჩენილი ოპოზიცია, ამის თქმა მიჭირს. იმ სახით, როგორადაც არის წარმოდგენილი ეს ოპოზიციური ფლანგი, რამეს თქმა საერთოდ მიჭირს.

**— პარლამენტსგარეთ დარჩენილი ოპოზიციის ლიდერები აცხადებენ, რომ არ დაუშვებენ კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღებას. ხელისუფლებას პარლამენტში კონსტიტუციური უმრავლესობა ჰყავს და როგორ უნდა შეუშალოს ხელი ოპოზიციამ, გაუგებარია...**

— რა თქმა უნდა, ეს ასეა. ხელისუფლება, რასაც უნდა, იმას გააკეთებს. მაგრამ ჩემი აზრით, საქართველოს და ხელისუფლების მთავარი პრობლემა ის არის,, რომ იგი დიდი პოლიტიკური თამაშიდან გამოთიშულია. საქართველოს ფუნქცია იყო გარკვეული გამლიზიანებლის როლის შესრულება. ახლა როდესაც, ეს როლი რეალურად არც არის, საქართველო ისეთ ფუნქციას ასრულებს, რაც მას ისტორიულად აქვს მინიჭებული. ავღანეთსა და ერაყში ჯარისკაცების გაგზავნა, - ასე იყო გიორგი სააკაძის დროს და ახლაც ასეა. შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული კონსტანტა ნარჩუნდება. რუსეთმა ამ ფუნქციიდან 200 წლით კი ამოგვაგდო, მაგრამ როგორც ხედავთ, ისტორიული ტრადიცია გრძელდება.

გამლიზიანებლის როლი დღეს არ გვაქვს, შესაძლოა ხვალ ვიღაცას ისევ დასჭირდეს. აქედან გამომდინარე, ამ როლის შემსრულებელი პოლიტიკური ისტებლიშმენტი თავს კარგად და მყარად ვერ გრძნობს. გარდა ამისა, პრობლემებია შიდა პოლიტიკაში, ხალხი ცუდად ცხოვრობს, ეკონომიკა, ბიზნესი და პოლიტიკა ერთმანეთზეა გადაბმული. ხელისუფლებამ იცის, რომ თუ ბიზნესს თავისუფლება მისცა, დიდი დრო არ დასჭირდება იმას, რომ ვიღაცას პოლიტიკური ამბიციები და ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი გაუჩნდეს. ამიტომ, ხელისუფლება რაღაც დონეზე ბიზნესს ხელს არ უშლის, მაგრამ გარკვეული დონის შემდეგ რომ ავიწროებენ, ფაქტია. სააკაშვილის ხელისუფლება ძალისმიერი გზით ხელისუფლების შეცვლას არ დაუშვებს. სხვათა შორის, ნებისმიერი ხელისუფლება ასე მოიქცეოდა.

**— ცხელი ზაფხულის მიუხედავად, კონსტიტუციის ახალი პროექტის განხილვა მაინც მიმდინარეობს. ხელისუფლება კონსტიტუციის ახალი პროექტით სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების უკმაყოფილებას არ იმჩნევს, არადა, საკონსტიტუციო ცვლილებები პოლიტიკურ კლასში თანხმობას უნდა ეფუძნებოდეს. პარალელურად ხელისუფლება არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმას არ ერიდება და დევნილების დედაქალაქიდან გაყრა-გაყვანის პოლიტიკას გეგმაზომიერად ახორციელებს. თქვენი აზრით, ყველაფერი ეს რაზე მიუთითებს?**

— მოდით, ასე ვთქვათ, ხელისუფლებას ვერტიკალის თვალსაზრისით პრობლემები არა აქვს. საქართველოში დემოკრატია და ჰორიზონტალური თამაშის წესები მაშინ შეიძლება განვითარდეს, როცა ბიზნესს ხელს არ შეუშლი. მარტივად რომ ვთქვათ, ხალხს თავს დაანებებ. ასეთ ვითარებაში, ვიღაცა ცოტა ფულს იშოვის, მაგრამ ვიღაცა დიდ ფულს იშოვის და მერე თავისი ინტერესების პოლიტიკაში გატარება მოუნდება. **ჩვენთან კონსტიტუციის პროექტი არა პოლიტიკურ ძალთა შორის კონსენსუსს, არამედ სახელისუფლებო ვერტიკალში ძალთა ინტერესებს, ოცნებებს და ფიქრებს ეფუძნება. როგორიცაა სახელისუფლებო ვერტიკალი, ისეთივე კონსტიტუცია გვექნება.**

**კონსტიტუციის ახალი ვარიანტი არნახულად სასაცილო დოკუმენტია.** როცა ამას ვამბობ, ვგულისხმობ იმას, რომ რაც უფრო თითქოს ვშორდებით რუსეთს, მით უფრო ვემსგავსებით მას. რაც რუსებს არა აქვთ დაწერილი კონსტიტუციაში, ჩვენ ის კონსტიტუციაში ჩავწერეთ, ანუ ვინარჩუნებთ რუსული ტიპის სახელისუფლებო ვერტიკალს და სულ უფრო ვემსგავსებით რუსეთს. ბავშვები ინგლისურს ისწავლიან თუ რუსულს, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია ის სახელისუფლებო ვერტიკალი, რომელიც არსებობს და რომელიც მმართველი გუნდის და არა ქვეყნის ინტერესებს ემსახურება. ქართული სახელისუფლებო ვერტიკალი, რუსული ვერტიკალის კარიკატურული მოდელია.

**— მალე ახალი პოლიტიკური სეზონის დროც დადგება. შემოდგომაზე რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს პოლიტიკურ ასპარეზზე?**

— რამე პროგნოზის გაკეთებისაგან თავს შევიკავებ, ვინაიდან პოლიტიკური პროცესები შეიძლება ისე უცბად და უცნაურად განვითარდეს, რომ თავადაც გაგვიკვირდეს. როგორც გითხარით, საქართველოში ძლიერი სახელისუფლებო ვერტიკალი არსებობს. იგი საკმაოდ ხისტი სიტემაა. როგორც წესი, ხისტი სისტემები ძალიან ხშირად პატარა გამოცდას ვერ უძლებენ და სერიოზულ შეცდომებს უშვებენ.

**— 2007 წლის ნოემბრიდან მოყოლებული, ქვეყანაში არაერთი კრიზისული ვითარება იყო, - საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, აგვისტოს ომი, შარშან აქციები, შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, მაგრამ ხელისუფლებამ კრიზისებს გაუძლო და საკმაოდ მყარი პოზიციებიც აქვს...**

— ხელისუფლების ეს გამარჯვებები პიროსის გამარჯვებასავითაა. ჯერ ერთი, საქართველომ და ხელისუფლებამ ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია დაკარგა. კი ბატონო, ვერტიკალი ვერტიკალისთვის მუშაობს, მაგრამ ხელისუფლება ისეთი აგრესიული მაინც ვეღარ არის, როგორიც იყო. რაც მთავარია, ხელისუფლებისა და ქვეყნის წინაშე დღეს სერიოზული პრობლემები და გამოწვევებია. პრინციპში, ხელისუფლება გამარჯვებულია, მაგრამ მის მდგომარეობას გამარჯვებასაც ვერ უწოდებ. **თუ შედეგებით და ქვეყნის ინტერესებით გავზომავთ, ფაქტია, რომ საქართველო საერთაშორისო პოლიტიკიდან და თამაშიდან რეალურად ამოვარდნილია. ხელისუფლებამ კრიზისებს კი გაუძლო, მაგრამ რის ფასად, საკითხავი ეს არის.**

ეს კითხვა რიტორიკულად ჟღერს იმ მოლოდინებისა და იმედების ფონზე, რომელიც ქვეყანას და საზოგადოებას ამ ხელისუფლებასთან მიმართებაში, იგივე 2003 ან თუნდაც 2004 წელს ჰქონდა. დღევანდელ მოლოდინებს თუ შევადარებთ 2003-2004 წლის მოლოდინებს, ვნახავთ რომ მათ შორის უზარმაზარი სხვაობაა. სააკაშვილი ხელისუფლებაში როგორც აღმაშენებელი მოვიდა, მაგრამ დღეს ამ თვალსაზრისით ძალიან კარიკატურული სიტუაციაა. ყველა აღიარებს, რომ ქვეყანას ძალიან მძიმე შედეგები აქვს და ახლა მნიშვნელობა არა აქვს ეს რუსეთის ბრალია თუ კიდევ სხვა ვინმესი. თუ ვიტყვით, რომ ეს იყო ფატალურად გარდუვალი, მაშინ ცხოვრებას აზრი არა აქვს და ხელები უნდა ჩამოვუშვათ. თუ რუსეთთან ომიც ფატალური გარდუვალობა იყო, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ეს გადაჭარბებულმა მოლოდინებმაც გამოიწვია და ჩვენ ბევრ რამეს ისე კარგად ვერ ვხედავდით, როგორადაც საჭირო იყო. ისტორიაში და რეალობაში ყოველთვის არის ვარიანტები და შესაძლებლობები. სააკაშვილის მომხრეებისთვის პრეზიდენტი მორალურად გმირია. მორალური არგუმენტი შეიძლება არსებობდეს, მაგრამ სააკაშვილის მოწინააღმდეგეებისათვის ის ანტიგმირია. **თუ პოლიტიკური შედეგებით ვიმსჯელებთ, ხელისუფლების საქმიანობას პლუსზე მეტი მინუსი აქვს. მხედველობაში არა მაქვს მხოლოდ დაკარგული ტერიტორიები.**

მოლოდინებიც ინვესტიციაა, როცა ქვეყანაში არსებობს მოლოდინი, ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს პერსპექტივა. გათვლადი პარამეტრებით დარჩა რამე? დღეს რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს და 2003-2004 წლის მოლოდინებისაგან დარჩა რამე საინტერესო და ხელშესახები?

კი, ბატონო, სახელისუფლებო ვერტიკალი არსებობს, იგი ძლიერია, ოპოზიცია აღარ არსებობს. როცა ქვეყანაში ოპოზიცია არ არის და ვერტიკალი ძალიან ძლიერია, ისეთ შედეგებს ვიღებთ, როგორიცა გვაქვს.

**უძველეს ჩინურ ტრაქტატში დაოდე ძინ-შია ნათქვამი — „რაც ცოცხალია, ის არის არა ხისტი, არამედ ბავშვივით თოთო, სიხისტე სიკვდილის ნიშანია“. ფაქტია, რომ საბოლოო ანგარიშით, რასაც ფართო პერსპექტივა ჰქვია, გაქვავებული ვერტიკალი ვერ მუშაობს. სიცოცხლე პირველ რიგში მოლოდინებია, როცა მოლოდინები ცოტაა, ეს სიცოცხლისუნარიანობის პრობლემაა.**

**კობა ბენდელიანი,**
**„ინტერპრესნიუსი“**

ინფორმაცია

# ბესელიას ულტიმატუმი ხელისუფლებას



**ეკა ბესელია ხელისუფლებას ულტიმატუმს უყენებს. როგორც გუშინ მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ხელმძღვანელმა „პრაიმ თაიმის“ პრესკლუბში განაცხადა, კვლავ შეუსრულებელია ის მოთხოვნა, რომელიც მათ ხელისუფლებას 2010 წლის 30 აპრილს, რუსთაველის გამზირზე გამართული აქციის დროს წაუყენეს. ამ მოთხოვნებს შორის არის — ე.წ. პოლიტპატიმრების გათავისუფლება.**

**— ხელისუფლებას ერთთვიან ვადას ვაძლევ. იმ შემთხვევაში, თუ ამ ერთი თვის ვადაში პოლიტპატიმრების გათავისუფლება არ დაიწყება, მე სათავეში ჩავუდგები აქტიური ბრძოლისა და საჯარო გამოსვლების კამპანიას, რადგან აუცილებელია საზოგადოების ყურადღების მობილიზება ხელისუფლების უსამართლობის წინააღმდეგ. დღევანდელმა ხელისუფლებამ მოსახლეობას ბრძოლა გამოუცხადა, — განაცხადა ბესელიამ. მისივე თქმით, ამის დამადასტურებელია დევნილების გამოსახლების ფაქტების გახშირება და გარევაჭრობის აკრძალვა.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ სამართალი

# ძლივძლივობით მოპოვებული ინფორმაცია

## რას გვიჩვენებს ვალის მოხდის მცდელობა?!

**მას შემდეგ, რაც „ვარდოსნები“ ხელისუფლებაში მოვიდნენ, უხვად დაიწყეს პირობების გაცემა ყველა სფეროში მუშაობის გამჭვირვალობის შესახებ. თავიდან ასეც იყო. მასმედია, საზოგადოება კმაყოფილნი იყვნენ, განსაკუთრებით, სამართალდამცავი და ძალოვანი სტრუქტურის საქმიანობის გამჭვირვალობით. მაგრამ რაც უფრო გადიოდა დრო, დანაპირები გამჭვირვალობა შსს-ში, პროკურატურასა და ა. შ. ნელ-ნელა მხოლოდ დაპირებად რჩებოდა. პოლიცია ჯერ მინისტრმა ოქრუაშვილმა გახადა ჩაკეტილ სტრუქტურად, ხოლო შემდეგ მერაბიშვილმა დონაძის მეშვეობით ტაბუდადებულ თემად აქცია.**

ამის შემდეგ ხელისუფლებას არ უნდა გაკვირვებოდა, რომ მომხდარი თუ არმომხდარი ფაქტების შესახებ მოსახლეობაში სხვადასხვა ჭორ-მართალის გავრცელება დაიწყებოდა. შსს-ს მკაცრად ჰქონდა გადაწყვეტილი, მოარულ ხმებსა და სხვადასხვა პუბლიკაციებზე რეაგირება არ მოეხდინა, ხელმიუწვდომელი გახდა ოფიციალური სტატისტიკა. ანალიზი მხოლოდ ექსპერტების ვარაუდებსა და გათვლებზე კეთდებოდა.

ამ დღეებში კი შსს-მ გაგვაოცა და მოამზადა მწირი სტატისტიკური მონაცემები მიმდინარე წელს ქვეყანაში ჩადენილი დანაშაულებისა.



**ექსპერტთა განმარტებით, თვით შსს-ს მიერ აშკარად შერბილებული მონაცემების მიუხედავად, კრიმინალური ვითარება გასული 6 თვის მანძილზე შემაშფოთებელია. დარეგისტრირებულია მძიმე დანაშაულების (მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა) 208 შემთხვევა. 73 ფაქტია მომხდარი ჯანმრთელობის დაზიანებისა. კვლავ „მოდაშია“ ძარცვა — 317; მას ოდნავ ჩამორჩება ყაჩაღობა (226 ფაქტი), 195 შემთხვევაა რეგისტრირებული ტრანსპორტის მოძრაობის ან ექსპლუატაციის წესების დარღვევისა, რასაც მოქალაქეთა სიკვდილიანობა მოჰყვა. 223-ჯერ მოხდა ხულიგნობა. გაუპატიურების 73 შემთხვევაა აღრიცხული. თვალში საცემია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული — 2883, ნარკოტიკების უკანონოდ ბრუნვის 5632 შემთხვევაა გამოვლენილი.**

შსს, ამართლებს რა თავის მიერ დასამტკიცებლად წარდგენილ და სისხლის სამართლის კოდექსში პარლამენტის მიერ შეტანილ ცვლილებებს, აცხადებს, რომ წინასწარი მოკვლევის გაუქმებასა და გამოძიების დანაშაულის ჩადენის მომენტიდან დაწყების შემდეგ მოქალაქის მიერ შემოტანილი განცხადებების რაოდენობა გაზრდილია.

სულ ექვს თვეში რეგისტრირებულია 17580 დანაშაული. დაზარალებულად ცნობილია 5 267 პირი. დაზარალებულთა შორისაა 19 კომპანია. დამნაშავე 5124 ადამიანი საქართველოს მოქალაქეა, 123 კი უცხოელი. დანარჩენთა მოქალაქეობა უცნობია.

## რა დგას ციფრებს მიღმა?

**კოტე ვაშაკიძე, სოციოლოგი: „მართალია, წლევანდელი 6 თვის შედეგები გვაქვს, მაგრამ ამით არ შეიძლება განისაზღვროს დანაშაულის მატებისა თუ კლების ტენდენცია, განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებისა. ჩვენ, უბრალოდ, არა გვაქვს გასული წლის მონაცემები. შსს-ს მწირი ინფორმაციით ვერ დავადგენ, კრიმინალთა გაახალგაზრდავებისა თუ, ამის საწინააღმდეგო მაჩვენებელს. არა გვაქვს დეტალური ინფორმაცია, თუ რა სახის დანაშაული სჭარბობს არასრულწლოვნებში და როგორია მათი შეფარდება გასული წლის მონაცემებთან.**

**შსს კი გვაძლევს ცნობას ნარკომანიასთან დაკავშირებით. მაგრამ მათ ავიწყდებათ აღნიშნონ, რომ ეს არის სპეციფიური სამუშაო. აქ არ არსებობს გახსნილი და გაუხსნელი საქმეები. ყველაფერი დამოკიდებულია ოპერატიული თანამშრომლების პროფესიონალიზმზე, ის ციფრი კი, რასაც გვთავაზობენ, ნამდვილად არ შეესაბამება იმ რეალურ სურათს, რაც ჩვენს ქვეყანაშია ამ კუთხით.**

**შსს არ გვაძლევს ინფორმაციას რეგისტრირებულ დანაშაულზე დაკავებულ პირთა შესახებ. არც იმას გვამცნობს, თუ რამდენი ეჭვმიტანილია გასამართლებული და მსჯავრდებულად გამოცხადებული“.**

ექსპერტები, პროფესიონალები კი აცხადებენ, რომ შსს-ს მიერ მიწოდებული სტატისტიკა შეგნებულად არის შემცირებული. ეს უფრო საზოგადოების წინაშე ვალის მოხდის მცდელობაა.

**ზაზა ბილიხოძე**

◉ წკეპლიკა

# როგორ გავიგოთ სიტყვა ოკუპაცია?

**„უცხო სიტყვათა ლექსიკონს“ თუ ჩავხედავთ, „ოკუპაცია“ ლათინური სიტყვაა და რომელიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის დროებით დაკავებას ნიშნავს.**

ასე რომ, საქართველოსთან მიმართებით რუსეთი ამჟამინდელ ვითარებაში სავსებით „ექვემდებარება“ ამ განმარტებას და ნამდვილად გამოდის ოკუპანტის როლში. ღმერთმა ქნას, განსაზღვრების იმ „პუნქტსაც“ დაექვემდებაროს, სადაც ტერიტორიის დროებით დაკავებაზეა ლაპარაკი. ჯერჯერობით და, სამწუხაროდ, საამისო ნიშნები არ ჩანს.

დიახ, ჩვენი ძველისძველი, სისხლხორცეული ტერიტორიები რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა სწორედ ძალით დაიკავეს, მათი ოკუპირება მოახდინეს. დიახ, რუსეთი ოკუპანტია და სულ არ აწუხებს ეს მანტია...

ოღონდ ვერასგზით ვერ ვხვდები, თუ როგორ მოხდა, რომ ოკუპანტ ქვეყანას მივყიდეთ, გადავეცით, ჩავაბარეთ ქვეყნის სტრატეგიული, სასიცოცხლო ობიექტები, ხელში ჩავუგდეთ ენერგეტიკა, ელექტრობა, გაზი, სასმელი წყალი და ბევრი სხვა რამ. რომელი განმარტება მივუსადაგო ასეთ ვითარებას, რა ვიფიქრო — ნებაყოფლობით მოვიწვიეთ ამდენი სფეროს დასაპყრობად, განვახორციელებინეთ ამ დარგების „ოკუპირება“, მაგრამ აქ უკვე აღარ არიან ეგ რუსი ოკუპანტები? ნეტავ, საიდან უფრო ადვილი გასადევნი იქნებიან — ტერიტორიებიდან თუ მიბოძებულ-შეჩეჩებული ობიექტებიდან?

დათასი (თუთაშხიასიძ არ იყოს, ფიქრი სჭირია ამას...

**ლუკა გორგაძე**

◉ დედაქალაქი

(მეორე გვერდიდან) ახლა ბევრ ქუჩასა და მოედანზე კაცი ისე გაივლი, გეგონება 25-30 წლის წინანდელ, შეუდარებლად მყუდრო თბილისში მოხვდიო. აკი ვთქვით, ეს თავისთავად ძალიან კარგია, მაგრამ პრობლემა მარტო ქვეითად მოსიარულეთა კომფორტით სულაც არ შემოიფარგლება, მას გაცილებით ღრმა სოციალური და არა მარტო სოციალური ფესვები აქვს.

სათქმელს ისევ წიგნების გარემოვაჭრეებით დავიწყებთ, რომელთა ქონება, გაუფრთხილებლად გაურკვეველ ადგილზე გადაიტანეს, საიდანაც დაბრუნება თითოეულს, მათი ყოველდღიური სარგებლის გათვალისწინებით, საკმაო თანხა დაუჯდა.

ამასთან საინტერესოა, რატომ ხდება მსგავტერნატივო ალტერნატივა“ შესთავაზა; მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, დედაენის ბაღში, ძეგლთან ახლოს: პარაპეტზე უკვე დამონტაჟებულია საგანგებოდ დამზადებული საქონლის შესანახი კარადები. მაგრამ, როგორც წიგნებით გარემოვაჭრეებთან საუბრებში ირკვევა, ის ადგილი მათი საქონლის გასაყიდად მეტად უვარგისია: გაზაფხულზაფხულში თითქოს არაფერი უჭირს, ზამთარში კი იქ გამუდმებით ზენა გამჭოლი ქარი ქრის, რის გამო დღის განმავლობაში გარეთ ყოფნა ძალიან გაჭირდება. ამდენად, წიგნებით გარემოვაჭრეებმა, დაახლოებით 50 კაცმა, მერიას ძველ ადგილებზე დატოვების თხოვნით მიმართეს. 16 აგვისტოს მათ განუცხადეს, რომ საკითხს დამდეგი კვირის ბოლომდე განიხილავენ, თუმცა მათი დადე-

# თბილისის „მოსვენებული“ ქუჩები

სი ამბები მაინცდამაინც დილაბნელზე? თანაც, წიგნი და ჟურნალ-გაზეთი მწვანილი ან კარტოფილი ხომ არ არის, ბაზარს მიაშურო და იქ იყიდო? სიტყვამ მოიტანა და ბარემ იმასაც აღვნიშნავთ, რომ თბილისის ქუჩებში აქამდე სოფლის მეურნეობის პროდუქციით გარემოვაჭრეებს ადგილები დედაქალაქის დაახლოებით 15 უბანში პატარ-პატარა ბაზრებში შესთავაზეს, რაც უდავოდ მისასალმებელია თუნდაც სანიტარიული თვალსაზრისით. მნიშვნელოვანი გარემოება ისიცაა, რომ წლის ბოლომდე ისინი სავაჭრო ადგილების გადასახადიდან გათავისუფლებულები არიან, თუმცა შემდგომ, თითოეულს, დღეში 5-7 ლარის გადახდა მოუწევს ბაზრების მეპატრონეთათვის. იმის გათვალისწინებით კი, რომ მანამდე მათი მოგება დღეში მეტ-ნაკლებად ამ თანხის ფარგლებში მერყეობდა, თანაც სტიქიის შემოტევების შედეგად გლეხობაში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კულტურის მოსავლის განადგურების, იმპორტული პროდუქციის მომხდარი გაძვირებისა და უკვე შვიდპროცენტიან დონეს გადაბიჯებული ინფლაციის გათვალისწინებით, გაისად ფასების საგრძნობ მატებას უნდა ველოდოთ, რაც, ცხადია, ისევ სოციალურად ყველაზე გაჭირვებულთ უქადის უმკაცრეს ზამთარს. მართალია, ჯერ კიდევ არიან ალაგ-ალაგ ეზოებსა და სადარბაზოებს შეფარებული სოფლის მეურნეობის პროდუქციით გარემოვაჭრეები, თუმცა ამ საქმით მანამდე დაკავებულ დევნილთა მთლიან რიცხოვნობასთან შედარებით (ისინი კი დაახლოებით ოთხი ათასი არიან). ეს ზღვაში წვეთია და, უნდა ვიფიქროთ, მაინც დროებითი მოვლენაა.

ისევ წიგნებით გარემოვაჭრეთა საკითხს დავუბრუნდებით. დავიწყოთ იმით, რომ თბილისში მათი კომპაქტური თავმოყრის მხოლოდ ორი ადგილი იყო — უკვე ნახსენები ყოფილი გამომცემლობა „სამშობლოს“ წინა მხარეს და თავისუფლების მოედანზე ქვეითად მოსიარულეთა მიწისქვეშა გვირაბში. იმის გათვალისწინებით, რომ დედაქალაქში წიგნის მაღაზია თითებზე ჩამოსათვლელიღა დარჩა, სადაც მათი ფასი გარემოვაჭრეთა ფასებთან შედარებით გაცილებით მაღალია, ალბათ არ იქნებოდა დიდი უბედურება ისინი ძველ ადგილებზე დარჩენილიყვნენ, რაც მყიდველთათვისაც და გამყიდველთათვისაც უფრო მოსახერხებელი იქნებოდა. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ თბილისის მერიამ წიგნებით გარემოვაჭრეებს, ასე ვთქვათ, „უალბითად გადაწყვეტის იმედი წიგნებით გარემოვაჭრეებს ნაკლებად აქვთ. როგორ დასრულდება საბოლოოდ ეს ამბავი, მალე შევიტყობთ, თუმცა, ჩვენი აზრით, ყველაფერი ძველებურად რომ ყოფილიყო, ამით არაფერი დაშავდებოდა.

## ბოლოთქმის მაგიერ

**გარე ვაჭრობასთან დაკავშირებით თვალშისაცემია დედაქალაქის ხელისუფლების პოლიტიკის აშკარა არათანამიმდევრულობა, რომელსაც, ამასთან ერთად, გარკვეული ლოგიკაც ახლავს. ამ სახეობის მოღვაწეობის ერთი შეხედვით სპონტანური საყოველთაო აკრძალვები სწორედ რომ ამა თუ იმ დონის არჩევნებს შორის პაუზებზე მოდის, რის თაობაზე ჟურნალ-გაზეთების ერთ-ერთმა გამყიდველმა ასეთი კომენტარი გააკეთა: „ჩვენ მუშაობის გაგრძელების ნება კი მოგვცეს, ჰოდა, ახალი არჩევნები რომ მოახლოვდება, მერე აღარც იმათ დაუშლიან“**

**როგორ გგონიათ, ბატონებო, მართლა ასე მოხდება თუ არა? თქვენი გამოცდილება რა პასუხს გკარნახობთ?**

**სოფლის მეურნეობის პროდუქციის გარდა ქუჩაში ასევე უამრავი სხვადასხვა სახეობის საგალანტერიო საქონელი, ტანსაცმელი და სხვა რამ იყიდებოდა, რაც ახლა აღარ არის ნებადართული და ის გარემოვაჭრეებიც ჰაერში გამოეკიდნენ. დაახლოებით თვენახევრის წინათ ჩვენი გაზეთი წერდა დიდუბეში, აკაკი წერეთლის სახელობის ბაღის ტერიტორიაზე ახალი სავაჭრო ცენტრის „თეთრი ქალაქის“ თაობაზე, სადაც სავაჭრო ფართების საიჯარო გადასახადები იმდენად მაღალია, რომ ახალი მოიჯარეები იქ არ მიდიან, ხოლო ძველები, ვინც ჯერჯერობით იქ ქირაობს ფართებს, გამოქცევაზე არიან. მაგრამ, ესაა კერძო სავაჭრო ცენტრი, სადაც სავაჭრო ფართის ყოველთვიურ საფასურს მეპატრონეები აწესებენ და მის დაწევას ვერავინ დაავალდებულებს. თუმცა მაშინ აღვნიშნეთ, რომ სავაჭრო ფართის მნიშვნელოვანი ნაწილი ტყუილად ცდება, ამით, გარდა მეპატრონეებისა, დედაქალაქის ბიუჯეტიც ზარალობს. ჰოდა, იქნებ ჰქონდეს აზრი, რომ დედაქალაქის ხელისუფლებამ ამ მიმართულებითაც იმოქმედოს და მსგავსი ტიპის ქალაქის კუთვნილი მცირე ობიექტები თბილისის სხვადასხვა უბანში ააშენოს, სადაც ქირის ფასები ზომიერი იქნება?! ეს ხომ ყველას მოუტანს სარგებელს — დედაქალაქის ბიუჯეტსაც და მის მოქალაქეებსაც!**

**გასაკეთებელი ხომ კიდევ ბევრია!**

**ოთარ ტურაბელიძე**



გლობუსი

# არის თუ არა ომის მომასწავებელი ამერიკელი სამხედროების განცხადებები?

**ისე არ წვიმს, როგორც ქუხსო — ეს თეორია, როგორც ჩანს კოკისპირული წვიმით შეიძლება შეიცვალოს. პოლიტიკაში კოკისპირული წვიმა საერთაშორისო ვითარებისათვის სახარბიელო ნამდვილად არ არის, მით უმეტეს თუ ასეთი, დაუკავშირდება ირანს. პოლიტიკაში უწვიმო ქუხილსაც არაერთხელ ჰქონია ადგილი — გამაყრუებელს, გულის გამხეთქს, რომლის მიზანი ერთია — გაფრთხილება.**

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ამერიკა-ირანის პაექრობას დავინახავთ, რომ მიუხედავად ამერიკელთა არაერთი გაფრთხილებისა, ირანელებს არ შეუცვლიათ სტრატეგიული გეგმა. ირანი ჩვეული თავდაჯერებით აგრძელებს მშვიდობიან ბირთვულ კვლევებს, რაზეც გასულ კვირას ახალი ცენტრიფუგების შექმნაც მეტყველებს. ვაშინგტონი მაქსიმალურად ცდილობს, ეკონომიკური სანქციებით შეაჩეროს ურანის გამდიდრების პროგრამა, თუმცა ამაოდ. სულ უფრო გამოკვეთილად ისმის აშშ-ის მოკავშირე ისრაელის მოთხოვნა ირანის ბირთვულ ობიექტებზე საჰაერო თავდასხმის თაობაზე. ვაშინგტონი არ ჩქარობს ამ საქმეში ისრაელისთვის მწვანე შუქის ანთებას. ჯერჯერობით არც იმ ჭურვებს გადასცემს, რომელთაც შეეძლებათ მიწაში ღრმად არსებული ბირთვული ობიექტების განადგურება. ირანის ბირთვული კვლევის ობიექტების დაბომბვა სახუმარო საქმე არ არის, მას შესაძლოა მოჰყვეს გამოუთვლელი შედეგები, როგორც რეგიონის, ისე მსოფლიოსთვის. გარდა ამისა მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის ბარაკ ობამასთვის ახალი ომის გაჩაღება სულაც არ უნდა იყოს მიზანშეწონილი. ასეა თუ ისე ირანის ირგვლივ კოკისპირული წვიმის მომასწავებელი შავი ღრუბლები გროვდება და არ არის გამორიცხული წვიმის დაწყება, რაზეც ამერიკელი მაღალჩინოსანი სამხედრო მოსამსახურის მაიკლ მალანის განცხადებაც მიანიშნებს. ადმირალის მიხედვით, პენტაგონს ირანის მოსარჯულებლად შემუშავებული აქვს სამხედრო თავდასხმის გეგმა. სულ ახლახანს, აშშ-ს ერთ-ერთ ტელეარხზე გამოსვლის დროს, მალანმა დაწვრილებით ილაპარაკა თავდასხმის გეგმაზე, რასაც უმალ მოჰყვა პრესაში გამოხმაურება. **გაზეთ „ვაშინგტონ ტაიმსის“ მიხედვით, თავდასხმა ძირითადად საჰაერო იქნება, რომელიც რამდენიმე დღე გაგრძელდება. თავდაპირველად გამოყენებული იქნება წყალქვეშა ნავებზე, სამხედრო ხომალდებზე და ბომბდამშენებზე განლაგებული ფრთოსანი რაკეტები, რომლებმაც უნდა გაანადგუროს ირანის ანტისაჰაერო თავდაცვის სისტემა, რის შემდეგ ესტაფეტას ჩაიბარებს ბ-2 გამანადგურებლები, რომლებიც ტონობით ჭურვს დააყრიან მთების სიღრმეში არსებულ ბირთვული კვლევის ობიექტებს.** ამერიკელთა ვარაუდით მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი მინიმალური იქნება. ვინაიდან ბირთვული ლაბორატორიები დასახლებული რაიონებიდან მოშორებით არის განლაგებული. **საჰაერო თავდასხმას მოჰყვება სახმელეთო, საიდუმლო ოპერაციები, რომლებმაც პროვოცირება უნდა გაუწიოს მასობრივ სახალხო გამოსვლებს ირანის ხელისუფლების წინააღმდეგ და წერტილი უნდა დაუსვას არა მარტო პრეზიდენტ აჰმადინეჟადის, არამედ აიათოლების მმართველობასაც. გარდა აღნიშნული ინფორმაციისა გაზეთი „ნიუიორკ ტაიმსი“ აქვეყნებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის და გაეროს ყოფილ მაღალჩინოსანთა მოსაზრებებს, ერთის შეხედვით პესიმისტურს, რომ ირანის ბირთვულ კვლევას ვერც პოლიტიკური მოლაპარაკებები და ვერც ეკონომიკური სანქციები ვერ შეაჩერებს, ესე იგი საჭიროა თავდასხმა. მათი აზრით ირანი ეშმაკურად იყენებს დიპლომატიურ მოლაპარაკებებს და აჭიანურებს დროს.**



თავის მხრივ ირანი აცხადებს, რომ ვერც აშშ და ვერც ისრაელი ვერ გაბედავს ირანზე თავდასხმას. სპარსეთის ყურე მსოფლიოსთვის მეტად მნიშვნელოვანია და თუ მისი უსაფრთხოება ეჭვქვეშ დადგება, არც ამერიკისთვის და არც ისრაელისთვის სახარბიელო არ იქნება. აშშ-ის მედიასივრცეში ატეხილ მორიგ ანტიირანულ ქარიშხალს უმალ გამოეხმაურა ირანის პრეზიდენტი აჰმადინეჟადი. მან წერილითაც მიმართა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას დიალოგის დაწყების თაობაზე, საჯაროდ, ტელეკამერების თანდასწრებით, რათა მსოფლიომ თვით გაარკვიოს მტყუან-მართალი. მიმართვა ისევე უპასუხო დარჩება, როგორც სხვა ადრეული. ოფიციალური ვაშინგტონის სურვილია თეირანი დაუბრუნდეს ექვსეულის (გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი და გერმანია) მოლაპარაკებას. თეირანს ურჩევნია მარტო აშშ-თან ლაპარაკი, რაც ექსპერტთა აზრით ექვსეულში განხეთქილების მომასწავებელი იქნება.

აშშ-ის ინიციატივით, მე ვიტყოდი დაძალებით, უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული ეკონომიკური სანქციები ძალაშია. მეოთხედ მიღებული სანქციები მეტად მკაცრია და თავისთავად გამოიწვევს ირანის ეკონომიკურ სირთულეებს, თუმცა ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ირანი ამასაც გაუძლებს. ვაშინგტონმა, მიუხედავად უშიშროების საბჭოზე გაკეთებული განცხადებისა, რომ ადგილი არ ექნება ლოკალურ სანქციებს, დაარღვია სიტყვა და არა მარტო თვითონ შემოიღო დამატებით სანქციები, არამედ ევროკავშირსაც მიაღებინა, რამაც თავის მხრივ უკმაყოფილება გამოიწვია რუსეთში. რუსეთი სულ ახლახანს (უშიშროების საბჭოს მიერ ახალი სანქციების შემოღებამდე) ირანის მოკავშირედ მოიაზრებოდა, მაგრამ როგორც ჩანს აშშ-ის ტექნოლოგიებით მოხიბლულმა კრემლმა ირანთან მეგობრობა, ვაშინგტონთან პრაგმატული ურთიერთობით ჩაანაცვლა, რითაც გაიზიარა რუსი ლიბერალების მოთხოვნები. რაც დრო გადის რუსეთის ხელმძღვანელობა ლიბერალობისკენ იხრება, რაც თავისთავად არა მარტო რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილის უკმაყოფილებას იწვევს, არამედ ირანის პოლიტიკოსებისაც. ირანის პრესაში ჩვეულებრივად იქცა რუსეთის გინება, მისი ამერიკასთან ჩახუტების გამო. გაისმის გაფრთხილებაც, რომ ამერიკელები მოატყუებენ რუსებს, ძველთან მეგობრობა გაცილებით სჯობსო, ვიდრე ახალთან. არც რუსეთი რჩება ვალში — ოფიციალური თეირანის მისამართით გამოთქმულ სიტყვებში მეტი სიმკაცრე გამოსჭვივის. ასე და ამრიგად სულ რაღაც თვეების განმავლობაში შეეცვალა აშშ-ს მიდგომა რუსეთისადმი, ისე, როგორც რუსეთს ირანისადმი. რაც კარგად ჩანს რუსეთში ბოლო დროს მიღებული გადაწყვეტილებებითაც.

რუსული პრესის მიხედვით თავდაცვის სამინისტრო მზადაა ბაქოს მიჰყიდოს საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი ს-300. აღნიშნული სისტემის მომსახურების მიზნით აზერბაიჯანელი სამხედროები კარგა ხანია წვრთნას გადიან რუსეთში. ითქვა იმის თაობაზეც, რომ ბაქოსათვის გამიზნული კომპლექსი სწორედ ისაა, რაც ირანს უნდა მიწოდებოდა. ცნობისათვის შეგახსენებთ, რომ მოსკოვთეირანის მრავალწლიანი მოლაპარაკებით С-300 ირანს უნდა გადასცემოდა, მაგრამ ამერიკა-ისრაელის დაბეჯითებული ძალისხმევით გარიგება არ შედგა, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე, რამაც ცხადია ნეგატიური რეაქცია გამოიწვია ირანში. სექტემბერში იგეგმება პრეზიდენტ მედვედევის ოფიციალური ვიზიტი ბაქოში, რომლის დროს სულაც არ არის გამორიცხული ამ საკითხში შეთანხმება. აზერბაიჯანისთვის თავდაცვითი სისტემის მიყიდვის საკითხმა გააღიზიანა რუსეთის პარტნიორი სომხეთი. სომეხ პოლიტოლოგთა აზრით ორ ფრონტზე მეგობრობა შეუძლებელია ანუ რუსეთ-აზერბაიჯანის, რუსეთ-სომხეთის. ოფიციალური ერევანი საკითხის გადაწყვეტამდე ხმას არ იღებს. С-300 სისტემა თავდაცვითია. არც სომხეთს და არც საქართველოს არ გააჩნია ისეთი დამკვრელური ძალა, რომლის გასანეიტრალებლად იქნება მიმართული ეს სისტემა. საქმე სხვაშია. გენერალ იური ნეტკაჩოვის მიხედვით უახლოეს მომავალში მოსალოდნელია აშშ-ისრაელის თავდასხმა ირანზე. საპასუხოდ, თეირანი შეეცდება პარალიზება გამოიწვიოს ნავთობის რეგიონიდან ექსპორტის საქმეში. ირანი თავს დაესხმება სპარსეთის ყურისა და კასპიის ზღვის ენერგომატარებლების ობიექტებს. თუ ამას ექნება ადგილი, აზერბაიჯანში განთავსებული სისტემის მნიშვნელობა გამართლებული იქნება. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ სისტემამ მეტი დამაჯერებლობა შესძინოს აზერბაიჯანს, რამაც შეიძლება გაყინული კონფლიქტი გააცხელოს. ბოლო დროს აზერბაიჯანელ პოლიტიკოსთა მილიტარული განცხადებები შემთხვევითი არ არის. თავისთავად იბადება კითხვა — ვაშინგტონ-მოსკოვის დაახლოება ხომ არ გამოიწვევს მოსკოვის ნეიტრალიტეტს ამერიკა-ისრაელის ირანზე თავდასხმის შემთხვევაში? და თუ ამას ექნა ადგილი, რა დივიდენდებს ელოდება რუსეთი თავდასხმის შემდეგ? **რუსეთი დასავლეთისთვის ენერგორესურსების მიწოდების თვალსაზრისით პირველი ქვეყანა გახდება, მაგრამ დიდხანს ექნება ამას ადგილი? აშშ ირანის სამხედრო გზით განეიტრალების შემთხვევაში მალე მოახერხებს საკუთარი გავლენის თავს მოხვევას როგორც სპარსეთის ყურეზე, ისე კასპიის ზღვაზე. ირანის პრობლემისგან გათავისუფლებული ამერიკა მოჭარბებული ძალისხმევით გააგრძელებს რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებას. დღესდღეობით ირანი ის ბარიერია, რომელიც ხელს უშლის ოფიციალურ ვაშინგტონს რუსეთზე სრულფასოვანი იდეოლოგიურ-პოლიტიკური შეტევისათვის.** მავანი შემედავება ობამა-მედვედევის ურთიერთობა თანამშრომლობაზეა და არა კონფრონტაციაზე გათვლილიო. კეთილი, მაგრამ ობამა მარტო არ არის. მის ირგვლივ მრავალი ისეთია, რომელიც სასურველად მიიჩნევს რუსეთის წაქცევას, გარდა ამისა, არავინ იცის შეძლებს თუ არა ობამა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას ან დემოკრატები ა. წ. კონგრესის არჩევნებში წარმატების მიღწევას? მიუხედავად განსხვავებული მსოფლმხედველობის მქონე პრეზიდენტებისა, ვაშინგტონის პოლიტტექნოლოგთა მიერ შემუშავებული სამომავლო გეგმის მიხედვით აშშ მსოფლიოს ერთპიროვნული ლიდერი უნდა იყოს. **მხოლოდ ის უნდა წყვეტდეს მსოფლიოს ბედს, აკონტროლებდეს ენერგორესურსებს, არეგულირებდეს სხვათა საშინაო და საგარეო საკითხებს. ამერიკას ესაჭიროება კასპიის ზღვის ენერგომატარებლები. ხვალ ის ტიუმენისა და სახალინის საბადოებს დაადგამს თვალს, მაგრამ ვიდრე რუსეთს ბირთვული იარაღი აქვს, ამერიკელთა სურვილი არ ახდება. ჩვენთვის ცნობილი ბჟეზინსკის მიხედვით ამერიკამ სხვა ქვეყნების აზრის გაუთვალისწინებლად უნდა დაალაგოს მსოფლიო. ბჟეზინსკის გეგმით რუსეთის როლი ნულზეა დასული. მისი აზრით რუსეთი უნდა დანაწევრდეს, ვინაიდან მხოლოდ ასეთს შეეძლება მეზობლებთან ნორმალური ურთიერთობის ქონა.**

მიუხედავად ვაშინგტონ-მოსკოვის ურთიერთობათა დათბობისა რუსეთს მაინც მოუწევს ამერიკელთა საწინააღმდეგო ნაბიჯის გადადგმა — ბუშერის ბირთვული ელექტროსადგურის გაშვების სახით. ამერიკელები კატეგორიულად სთხოვენ რუსეთს, ეს არ გააკეთოს, ვიდრე არ გაირკვევა ირანის გეგმები ურანის გამდიდრებასთან დაკავშირებით. ამერიკელთა მოთხოვნა ეგოისტურია, გარდა ამისა არავინ იცის რას იტყვის ირანი აღნიშნულზე. ბუშერის ბირთვული ელექტროსადგურის ამოქმედების კიდევ ერთხელ გადადება არათუ გააბრაზებს ისედაც გაბრაზებულ ირანს, არამედ სერიოზულ ბზარს გაუჩენს მსოფლიო არენაზე რუსეთის პრესტიჟს. მოსკოვმა არაერთხელ გაუწია ანგარიში ვაშინგტონს, მაგრამ ამჯერად, როგორც ჩანს, გამოუვალი ვითარებიდან გამომდინარე, მას მოუწევს ვაშინგტონის საწინააღმდეგო მოქმედება. ყატარის ტელეკომპანია „ალ-ჯაზიირას“ მიხედვით ბუშერის ბირთვული ელექტროსადგური 21 აგვისტოს გაიხსნება.

ირანის ირგვლივ ატეხილი ხმაური სერიოზული ფიქრის საფუძველს აჩენს. თავდასხმის განხორციელების შემთხვევაში მთელი მსოფლიო, განსაკუთრებით კი ეს რეგიონი უსერიოზულესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. სწორედ ამით იყო გამოწვეული კუბის ლიდერის ფიდელ კასტროს საჯარო გამოსვლა-განცხადება. მოკლე გამოსვლაში მან ხაზგასმით აღნიშნა თუ რა შეიძლება მოჰყვეს ასეთ ავანტიურას.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

ინფორმაცია



## პოლიციელები საქონლის ქურდებს მფარველობენ

**გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში მცხოვრები დათო კავთელაძე გურჯაანის პოლიციის ხელმძღვანელობას ცხენების ქურდებთან გარიგებაში ადანაშაულებს. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრი იტყობინება, კავთელაძე მიმართავს პროკურატურას, ქურდობის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაზე კონტროლი დააწესოს.**

**როგორც დათო კავთელაძემ სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტს აცნობა, 2 ცხენი მას რამდენიმე დღის წინათ მოპარეს. — პოლიციას მივმართე დახმარებისთვის. ცხენები ყვარლის რაიონში აღმოჩნდა გადაყვანილი. პოლიციელებმა მანქანაში ჩამსვეს და წამიყვანეს იქ, სადაც ცხენები ჰყავდათ. ადგილზე რომ მივედით, მე მანქანაში დამტოვეს, თვითონ გადავიდნენ და ცოტა ხნის შემდეგ უკან დაბრუნებულებმა მითხრეს, ცხენები გაქცეულანო. განმეორებით მივმართე გურჯაანის პოლიციას და ასეთი პასუხი მივიღე: ჩვენ ყვარლის რაიონში გამოძიებას ვერ ჩავატარებთო. ვფიქრობ, რომ პოლიცია ცხენების ქურდებს გაურიგდა და მათ ხელს აფარებენ, — აღნიშნავს დათო კავთელაძე.**

**შს გურჯაანის სამმართველოს ინფორმაციით, ცხენების ქურდობის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს. გურჯაანის პოლიციაში კავთელაძის ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებენ.**

**უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს გურჯაანის რაიონში საქონლის ქურდობის ფაქტები გახშირდა. დაზარალებულები მოპარულ საქონელს ვერ პოულობენ.**

ХИ-ЕИВ-ЕНИ

**სამადლობელი**



# ისევ მინდა ანაკლიაში!

## ათი ბედნიერი დღე, რომელმაც დაგვამეგობრა

***ზაფხულის არდადეგებია. ქუჩაში ცხელა, სახლში მოსაწყენია, რა ვაკეთო არ ვიცი. ერთ-ერთ ასეთ მოსაწყენ საღამოს გაისმა ტელეფონის ზარი. ვაშაა! ამიხდა ოცნება! შემომთავაზეს ბანაკ „პატრიოტში“ წასვლა.***

***და აი, საერთაშორისო ბანაკი „პატრიოტი“ ანაკლიაში. ახალი ლამაზი კორპუსი, დიდი თანამედროვე სასადილო, ხეივნები, შადრევანი გზის გასწვრივ პალმებია. ყველაფერი მეტად თანამედროვე და ლამაზია.***

განმაწესეს მეექვსე რაზმში. ყოველ რაზმს თავისი ლიდერები ჰყავდა. ჩემთვის ესენი მაგდა და დათო იყვნენ. ისინი ძალიან შემიყვარდა. ჩვენთან ერთად ისვენებდნენ ბავშვები ბელარუსიდან. დილის გამამხნევებელი ვარჯიშის შემდეგ ბანაკში ბელარუსისა და საქართველოს ჰიმნების თანხლებით აღმართავდნენ ხოლმე ორი ქვეყნის დროშებს. დღის წესრიგი იყო მეტად დატვირთული. ეწყობოდა სხვადასხვა კონკურსები. გაიხსნა ოლიმპიადა, საღამოს კი – დისკოთეკა და, რაც ყველაზე მთავარი იყო – უნდა მოგესწრო ცურვაც და გარუჯვაც.

სულმოუთქმელად ველოდი ოლიმპიადის გახსნას. სპორტული შეჯიბრებები ეწყობოდა ფეხბურთსა და პლაჟის ფრენბურთში. შემეცნებითი გასართობი ღონისძიებებიც: „რა? სად? როდის?“ და „გამოიცანი ავტორი“, სადაც ჩვენ ფინალში გავედით, „ვა-ბანკი“, „მხიარული სტარტები“.

დასამახსოვრებელი იყო კოსტიუმების კონკურსი ოთხ ნომინაციაში.

– ჩვენ ორ ნომინაციაში გავიმარჯვეთ: მითოლოგიასა და კლასიკაში. კლასიკოსის ნომინაციაში გაიმარჯვა ციაკო ხეცაძემ. აი ასე მხიარულად ვატარებდით დროს რეპეტიციებსა და სხვადასხვა კონკურსებისა და ღონისძიებებისთვის მზადებაში. ძალიან დავმეგობრდით ერთმანეთთან და სულაც აღარ მინდოდა მეფიქრა, რომ ჩვენი დასვენება დასასრულს უახლოვდებოდა და უნდა დავშორებოდით ერთმანეთს. დარჩა უკანასკნელი გამოსათხოვარი კონცერტი. უკანასკნელი რეპეტიცია. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაში, თუ რა ნიჭიერი ბავშვები იყვნენ ჩვენს რაზმში. ეს იყო ყველაზე საუკეთესო კონცერტი მთელი 10 დღის განმავლობაში. როგორი ბედნიერი ვიყავი!

უკანასკნელი დღე ბანაკში. პირველად ბელარუსები წავიდნენ. მის შემდეგ წავიდა ავტობუსი რუსთავის, აჭარის, ხაშურის, თიანეთის, წეროვნის მიმართულებით. მხოლოდ თბილისელი ბავშვები დავრჩით. მოგვეწყინა. დადგა ჩვენი რიგიც. ჩავსხედით ავტობუსში და წამოვედით. ასე გაფრინდა 10 მხიარული და დასამახსოვრებელი დღე. მხიარულების, ხუმრობის, ახალ მეგობრებთან ურთიერთობის 10 დღე. კიდევ მინდა იქ დაბრუნება და ყველაფრის თავიდან დაწყება.

მადლობა ყველას, ვინც მოგვცა შესაძლებლობა, დაგვესვენა ამ ბანაკში, შეგვეძინა ახალი მეგობრები, ისეთები, როგორებიც არიან ციაკო კაციტაძე, თეონა ილურიძე, დათო ბეჟანიძე, გიორგი ხუმარაშვილი და ბევრი, ბევრი სხვა. მადლობა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს, მადლობა მარიკა მეიშვილს, ქალთა საზოგადოებრივ საქველმოქმედო ორგანიზაცია „ერთობას“ და მის ხელმძღვანელს ია ქვათაძეს. და ყველას, ვისი წყალობითაც და მცდელობითაც მოზარდი თაობა იღებს ასეთ შესანიშნავ შესაძლებლობას დაუახლოვდნენ, გაიცნონ ერთმანეთი.

**ანა ევსეევა,**
**თბილისის № 116 საჯარო სკოლის 11-ე კლასის მოსწავლე**



**იურიდიული კონსულტაცია**

**ოჯახი საზოგადოების პირველი უჯრედია, ადამიანი ოჯახს ქმნის ბუნებრივი მოთხოვნილებების გამო. იგი ოჯახში იბადება, აქ ატარებს თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს; სწორედ ოჯახში იჩენენ თავს ადამიანის ყველაზე იდუმალი მხარეები. ოჯახი იძლევა სიცოცხლის შეგრძნებას, ურომლისოდაც შეუძლებელია ადამიანური ბედნიერება.**

დიდია ოჯახის როლი არა მარტო ცალკეული ადამიანის, არამედ მთელი საზოგადოების ცხოვრებაშიც. ოჯახი უზრუნველყოფს ადამიანთა მოდგმის გაგრძელებას და ასრულებს ბავშვთა აღზრდის ფუნქციას. იმაზე, თუ როგორი ურთიერთობაა ოჯახში, როგორია მისი წევრების მორალური დონე, ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი საზოგადოების მომავლის სახე; თითოეული აღსაზრდელის ბედნიერი ბავშვობა შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს მხოლოდ მტკიცე, მეგობრულ ოჯახში.

საოჯახო ურთიერთობა ძალიან რთულია; იგი დაკავშირებულია ადამიანის შინაგან სამყაროსთან, პირად განცდებთან, ინტიმურ ცხოვრებასთან და ა. შ.

ოჯახის წევრთა შორის არსებული ურთიერთობები არ არის უბრალოდ ერთად მცხოვრებ ადამიანთა დამოკიდებულება, მისი წევრები არა მხოლოდ ყოფითი პრობლემებითა და საკითხებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, არამედ ეს ურთიერთობები თითოეული მათგანისთვის წარმოშობს გარკვეულ იურიდიულ შედეგებს, რაც თავისთავად მოითხოვს სამართლებრივ მოწესრიგებას.

ამიტომ, საოჯახო ურთიერთობათა საკანონმდებლო მოწესრიგებისას აუცილებელია განსაზღვრული ზომიერებისა და ტაქტის დაცვა. სახელმწიფო ასეთ მოწესრიგებას მიმართავს მხოლოდ მაშინ, თუ ეს გამოწვეულია საოჯახო ურთიერთობათა განმტკიცებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესებით. კანონის მოქმედების განვრცობა ამ ფარგლებს მიღმა მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში დაუშვებელი ჩარევა იქნებოდა.

**და მაინც, რა არის ოჯახის შექმნის საფუძველი? არის თუ არა აუცილებელი ქორწინების სახელმწიფო ორგანოში რეგისტრაცია და თუ აუცილებელია, რამდენი წლის ასაკიდან ეძლევათ ახალგაზრდებს დაქორწინების უფლება? არსებობს თუ არა კანონიერი საფუძველი საქორწინო ასაკის შემცირებისათვის? წარმოშობს თუ არა მეუღლეთა შორის კანონიერ უფლებამოვალეობას ჯვრისწერა? რა შეიძლება ჩაითვალოს ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად და სხვა მრავალი კითხვა, რომლითაც ჩვენი გაზეთის მკითხველები მოგვმართავენ.**

# ქორწინების წესი და პირობები

**რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი**



ქორწინება ოჯახის შექმნის ძირითადი საფუძველია, თუმცა არა ერთადერთი. ოჯახი შეიძლება წარმოიშვას დაუქორწინებელი ქალის მიერ ბავშვის დაბადების, შვილად აყვანისა და კანონით გათვალისწინებულ სხვა იურიდიული ფაქტების არსებობის შემთხვევაშიც.

ქორწინება – ეს არის ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც მიზნად ისახავს ოჯახის შექმნას და შვილების აღზრდას.

ჯერ კიდევ 1944 წლის 8 ივლისიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეთა კანონიერ უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ შესაბამის სახელმწიფო ორგანოში რეგისტრირებული ქორწინება, რომელიც, სასურველია, ემყარებოდეს ურთიერთსიყვარულს, პატივისცემას და იმ დიდი პასუხისმგებლობის გააზრებას, რომელსაც ოჯახის შექმნა გულისხმობს. (ასეთი **ორგანო დღეისათვის გახლავთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახური**).

ასე რომ, ქორწინების რეგისტრაციის გარეშე წლების განმავლობაში თუნდაც ერთ ოჯახად ცხოვრების ფაქტი მეუღლეთა შორის კანონიერ უფლება-მოვალეობას არ წარმოშობს. ძალზე სასიამოვნო ფაქტია უკანასკნელ წლებში ჩვენი ახალგაზრდების უდიდესი ნაწილის შემობრუნება ეკლესიისკენ და მისწრაფება ჯვრისწერასთან დაკავშირებით; ჩემი აზრით, ეს მეტად საჭირო და ამაღლებული რიტუალია და ყველა მართლმადიდებელი, რომელიც ამჟამად ქორწინდება თუ უკვე დაქორწინებულია (მაგრამ არა საეკლესიო წესით) ისევე, როგორც ჩვენი წინაპრები, ამ დიდ მადლს აუცილებლად უნდა ეზიაროს, მაგრამ აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე მოქმედი კანონით სამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს და შესაბამის იურიდიულ უფლება-მოვალეობებს არ წარმოშობს ჯვრისწერა, ე. ი. მხოლოდ რელიგიური წესით გაფორმებული ქორწინება.

**დაქორწინებისათვის აუცილებელია საქორწინო ასაკი და დასაქორწინებელ პირთა თანხმობა.**

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის – 1108-ე მუხლის შესაბამისად, 1997 წლის 25 ნოემბრიდან საქორწინო ასაკად (როგორც გოგონების, ისე ვაჟებისათვის) დაწესებულია თვრამეტი წელი.**

**გამონაკლის შემთხვევებში თექვსმეტი წლის ასაკიდან დაქორწინება დაიშვება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წინასწარი წერილობითი თანხმობით.**

**თანხმობაზე მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის უარის შემთხვევაში, საპატიო მიზეზების არსებობისას, დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე, დაქორწინების ნებართვა შეუძლია გასცეს სასამართლომ.**

სასამართლოს მიერ ერთ-ერთ საპატიო მიზეზად ჩაითვლება ქალის ორსულობა ან ბავშვის დაბადება. ასეთ შემთხვევაში არსებული საოჯახო ურთიერთობის უსწრაფესად მოგვარება შეესაბამება როგორც სახელმწიფოს, ისე თვით ახალგაზრდა ოჯახის ინტერესებს.

**ნიშნობა** არის დასაქორწინებელ პირთა წინასწარი თანხმობა ქორწინებაზე. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ნიშნობა არ წარმოშობს შემდგომი დაქორწინების ვალდებულებას. ამიტომ იგი არ შეიძლება იყოს სასამართლოში იძულებითი დაქორწინების მოთხოვნის შესახებ სარჩელის წარდგენის საფუძველი. ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ.

**დაქორწინების რეგისტრაცია ხდება შემდეგნაირად:** დაქორწინების მსურველნი განცხადებით მიმართავენ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, სადაც მიუთითებენ დაქორწინების თარიღს. მოქმედი კანონის თანახმად, დაქორწინება შეიძლება მოხდეს განცხადებით მიმართვის დღესვე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აღნიშნული შეუძლებელია განცხადებათა სიმრავლის გამო.

ისეთ განსაკუთრებულ გარემოებათა დროს, როგორიცაა ბავშვის დაბადება, ერთ-ერთი მხარის სიცოცხლისათვის რეალური საფრთხე და სხვა მსგავსი გარემოებები, ქორწინების რეგისტრაცია აუცილებლად უნდა გაფორმდეს განცხადების შეტანის დღესვე.

**განცხადებაში, ქორწინების რეგისტრაციის შესახებ, მხარეებმა უნდა მიუთითონ** იმის თაობაზე, რომ არ არსებობს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი, რომ იცნობენ ერთმანეთის ოჯახურ მდგომარეობას, მერამდენე ქორწინებაა ეს მათთვის და ჰყავთ თუ არა შვილები. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შესაბამისი სამსახური მოვალეა გააცნოს მხარეებს ქორწინების რეგისტრაციის წესი და პირობები, განუმარტოს მეუღლეთა და მშობელთა უფლება-მოვალეობანი, გააფრთხილოს ისინი, რომ პასუხს აგებენ ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებათა დაფარვისათვის. ეს ორგანოები ვალდებულნი არიან დარწმუნდნენ, რომ არ არსებობს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი, რომ მხარეებისათვის ცნობილია ერთმანეთის ჯანმრთელობისა და ოჯახური მდგომარეობის შესახებ.

ქორწინების რეგისტრაცია ტარდება საზეიმო ვითარებაში ორი სრულწლოვანი მოწმის თანდასწრებით.

**საქართველოში უცხოელთა დაქორწინებისათვის აუცილებელია** იმათი ქვეყნის სათანადო ორგანოს ცნობა, რომ არ არსებობს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი. ეს წესი არ ვრცელდება მოქალაქეობის არმქონე პირებზე და იმ სახელმწიფოს მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც არ გასცემენ მსგავს ცნობებს.

ქორწინების რეგისტრაციაზე სახელმწიფო ორგანოების უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლის თანახმად, **დაქორწინება არ დაიშვება**: იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი დაქორწინებულია სხვასთან; პირდაპირ აღმავალი ან დაღმავალი შტოს ნათესავებს შორის; ღვიძლ და არაღვიძლ, ასევე არაბიოლოგიურ და-ძმას შორის, მშვილებელსა და ნაშვილებს შორის და იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ აღიარებულია ქმედუუნაროდ.

**ხელმეორედ ქორწინების შემთხვევაში** პირი ვალდებულია, ქორწინების რეგისტრაციისას წარადგინოს მოწმობა წინა ქორწინების შეწყვეტის შესახებ.

თუ ერთ-ერთი მეუღლე გარდაიცვალა, მეორე მეუღლის ქორწინების რეგისტრაციისთვის აუცილებელია მეუღლის გარდაცვალების მოწმობის წარდგენა.

## ◉ კაცობა

*მთელ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს. ან რა დააძინებდა, მოხუცი, ასთმიანი დედა ისე ახველებდა, ლამის იგუდებოდა. მერიმ (მოდით, პირობითად ასე დავარქვათ) დედის სასთუმალთან დადებული წამლის ფლაკონი კი მოიძია, მაგრამ ცარიელი აღმოჩნდა. ამ წამალს დედა ასეთი შეტევების დროს ცხვირში ისხურებდა ხოლმე, გათავებულა. აღარც კი ახსოვს, როდის შეიძინა, დედა იზოგავდა და მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში შეისუნთქავდა ხოლმე. მერიმ იცოდა, ეს ფლაკონი იყო მისი ერთადერთი მხსნელი. განთიადისას ჩაეძინა ავადმყოფს. ქალიშვილმა ჭაღარა თმაზე გადაუსვა ხელი. სათუთად მოეფერა მძინარეს.*

# საიდუმლო სიკეთე

როგორც იქნა, გათენდა. მერი ფეხაკრეფით, უჩუმრად გამოვიდა წინკარში. ფრთხილად მოუშვა ონკანი სააბაზანოში, წყალი გადაივლო, სარკეში ჩაიხედა. შეშუპებული ქუთუთოები ეცა თვალში. უჯრიდან თვალის ფანქარი და ტუში ამოიღო. სახეზე მკვებავი წაისვა. თავი მოიწესრიგა. იქვე, სარკესთან თავისი ხელით დამზადებული მძივები და სამაჯურები ჩამოხსნა. კაბის შესაფერისი აარჩია და გაიკეთა.

რა ხანია, ორმოცდაათს გადასცილდა, მაგრამ არასდროს ავიწყდება, რომ ქალია, თან მხატვარი. მისი რომანტიკული სული მის ნახატებს არ გასცილებია. სანამ ახალგაზრდა იყო, შემოქმედებით იწვოდა, ამიტომაც დარჩა გასათხოვარი. განა მთხოვნელი არ ჰყავდა? – მაგრამ მის სულთან ახლოს ერთიც ვერ მოვიდა, თორემ ქალი განა ბევრს ითხოვდა – მისთვის ადამიანურობა და სულიერება, ზნეობრიობა იყო და ახლაც არის მთავარი! ახლა, ახალგაზრდობის მიწურულსა და სიბერის დასაწყისში მდგომი ხვდება, რომ უფრო მიწიერი, პრაქტიკული რომ ყოფილიყო, იქნებ შვილებიც ჰყოლოდა და დიდი ოჯახიც... თუმცა, რაღა ამაზე ფიქრის დროა. სანამ დედა გაიღვიძებდეს, წამალი უნდა მოუტანოს.

აფთიაქი ვერაზე. მერი ცარიელ ფლაკონს უწვდის პროვიზორს. გამყიდველმა სალარო აპარატში გამოწერა ჩეკი და ქალს წამალთან ერთად მიაწოდა. მერიმ საფულე გახსნა. შიგ მხოლოდ ათლარიანი, ხუთლარიანი და წვრილი ხურდები ყრია... წამალი კი 30 ლარი ღირს... ყველაფერი ამოყარა ჩანთიდან, მის ყოველ ჯიბეში ჩაიხედა. მეტი არსად აღარაფერი შემორჩენოდა. არადა, ოცდაათლარიან წამალს თხუთმეტ ლარად ვინ მისცემს! გაახსენდა, დედის პენსიით დენის, გაზის, წყლის გადასახადები რომ გადაიხადა. ამის მეტი პურის ფულიც კი აღარ აბადიათ! მხატვარს შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. – ეს ოხერი, ნახატებიც რომ არ იყიდება! – გაიფიქრა თავისთვის, და იქვე: – პენსიონერი მაინც ვიყო, პენსიას მაინც ავიღებდი!...

ნატვრა თუ გინდა, ეს არის! სასაცილოც და საფიქრალიც!

ხელის კანკალით დაუბრუნა წამალი აფთიაქარს – მაპატიეთ, ამჯერად ვერ შევიძენ, მერე მოვალ, როცა დედა პენსიას აიღებსო – ლამის წამოსცდა. უკან ჩატენა ჩანთაში ყველაფერი. ვერცხლის წვრილი სამაჯურები წკარუნებდნენ ქალის მაჯაზე. ზოგი ნივთი ძირს დაუვარდა. უკან კი ორი-სამი ადამიანი იდგა რიგში. ისინი ყველაფერს ხედავდნენ. განსაკუთრებით ერთი ვაჟი არ აშორებდა თვალს, რომელიც იქვე გვერდით, ფანჯარასთან იდგა. ის იყო მერიმ რიგიდან გამოსვლა დააპირა და პროვიზორმაც შესანახად აიღო ფლაკონი, რომ მოულოდნელად ახალგაზრდა ბიჭი გამოემართა მათკენ, ხმადაბლა, მორიდებით მიმართა: – გთხოვთ, არ დააბრუნოთ წამალი. მე გადავიხდი თანხას და ავადმყოფს მიუტანეთო.

მართლაც, ვაჟმა მყისვე გადაიხადა ფული, ფლაკონი ჩანთაში ჩაუჩურთა ქალს და სასწრაფოდ გაემართა გასასვლელისკენ.

მერი, უხერხულობისა და მოულოდნელობისაგან გაწითლებული, უკან დაედევნა მადლიან ახალგაზრდას, მადლობას უხდიდა და სთხოვდა, ვინ ბრძანდებით, მითხარითო. ბიჭი კი უარობდა. ქალი ეუბნებოდა, რომ ადრე თუ გვიან ვალს დაუბრუნებდა და მხოლოდ ამისთვის სჭირდებოდა მისი სახელი. ამაოდ ცდილობდა ვაჟი, თავი დაეხსნა, რადგან ქალს სახელოთი ჰყავდა მოქაჩული. ბოლოს, რომ ვეღარაფერი გააწყო, თავაზიანად უპასუხა, რომ იყო ფეხბურთელი, გვარად იაშვილი და ეს-ესაა ჩამოვიდა უკრაინიდან. ქალმა ხელი გაუშვა და ბიჭმაც თავმდაბლად დატოვა იქაურობა...

ამ ამბის შემსწრეთ გული გაუთბათ. მთელი კვირა თავაწეული, ამაყად დადიოდა მერი, ყველას ეუბნებოდა, რომ მადლიანი ხალხი ვართ ქართველები, რომ არასდროს დაიკარგება სიკეთე და ლოცავდა ფეხბურთელს.

სწორედ სიკეთის ქმნაშია ქართველის ძალა. ამ ძნელ და უცნაურ დროში მაინც, სულ ცოტა ჰყოფნის ადამიანს გახარებისთვის. მეც თქვენთან ერთად მიხარია, მკითხველო, ეს ამბავი და მიტევებას ვითხოვ ამ წერილის გმირებისაგან, ფეხბურთელის მიერ საიდუმლოდ ჩადენილი სიკეთე ასე საქვეყნოდ რომ გავაცხადე...

**ლია ჭიღლაძე**

## ◉ ინფორმაცია

### ავტოსაგზაო შემთხვევა ახმეტაში

**ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ახმეტის რაიონში. ქვემო ალვანიდან ახმეტის მიმართულებით მაღალი სიჩქარით მოძრავი ოპელის მარკის ჯიპის ავტომანქანა მოხრეშილ გზაზე მოსრიალდა და რამდენჯერმე გადაბრუნდა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 19 წლის შაკო ოთიურიძე ადგილზე გარდაიცვალა, გიორგი ნეკერაულმა და ირაკლი ხუცურაშვილმა კი სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღეს.**

**დაშავებულები ახმეტის რაიონული საავადმყოფოდან თბილისში, ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს.**

**მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამმართველო აწარმოებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ◉ ჩვენი კარაბადინი

### ინტელექტუალური სიძლიერის პიკი



**წლების განმავლობაში თავის ტვინის ინტელექტუალური სიძლიერე იზრდება. თანაც ტვინის აქტივობის პიკი მოდის 50-70 წლებზე, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მეცნიერები. ტრადიციულად ითვლებოდა, რომ ასაკთან ერთად ადამიანის გონებრივი საქმიანობა მცირდება თავის ტვინის უჯრედების – ნეირონების კვდომასთან დაკავშირებით.** მაგრამ უახლესმა გამოკვლევებმა უარყვეს ეს თვალსაზრისი. როგორც აღმოჩნდა, ნეირონები წლებთან ერთად არ კვდებიან, თუმცა კავშირი მათ შორის შეიძლება დაიკარგოს, თუ ადამიანი ახალს არ სწავლობს. მაგრამ ასაკთან ერთად თავის ტვინში იზრდება განსაკუთრებული ნივთიერების – მიელინის ოდენობა. ის ხელს უწყობს სიგნალების უფრო სწრაფ გავლას ნეირონებს შორის, რაც ტვინის საერთო ინტელექტუალურ სიძლიერეს ზრდის 3000 პროცენტით! ამავე დროს მიელინის წარმოების აქტიურობაში პიკი 60 წლის ასაკზე მოდის.

### ინფექციების კერა

**მობილურ ტელეფონებზე 18-ჯერ უფრო მეტი ბაქტერია ცხოვრობს, ვიდრე საზოგადოებრივი ტუალეტების ბაკების სახელურებზე, გამოირკვიეს ბრიტანელმა მეცნიერებმა. ისინი იღებდნენ სინჯებს მობილური ტელეფონების ზედაპირიდან და ადარებდნენ მათ ტუალეტის სახელურების სინჯებს.**



აღმოჩნდა, რომ მიკროორგანიზმების ოდენობა ტელეფონის ზედაპირზე ჰიგიენურ ნორმებს აჭარბებს 25-ჯერ და 18-ჯერ მიკრობების ოდენობას საზოგადოებრივი ტუალეტების ჩასარეცხების სახელურებზე. თუმცა ყველა ბაქტერიას როდი მოაქვს ზიანი ადამიანისთვის. მაგრამ მობილური ტელეფონების ზედაპირზე აღმოაჩინეს პათოგენური მიკროორგანიზმებიც – სალმონელა, ნაწლავური ჩხირები და ოქროსფერი სტაფილოკოკი, რომლებიც იწვევენ ნაწლავურ და ჩირქულ ინფექციებს. სპეციალისტები ურჩევენ ფიჭური ტელეფონების მფლობელებს, იზრუნონ თავიანთი აპარატების სისუფთავეზე და არ გადასცენ ისინი სხვებს.

### მჟავიანი წვიმები

**წვიმები, რომლებიც მოდის ანომალური სიცხის შემდეგ, შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს, მიაჩნია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის კათედრის მეცნიერ-მუშაკს პაველ კონსტანტინოვს.** მჟავიანობა ნალექებისა, რომლებიც მოდის ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, ცუდად აისახება ხალხის ჯანმრთელობაზე. თანაც ჰაერი დაბინძურებულია ტყის ხანძრების წვის პროდუქტებით.

მეცნიერი დაბეჯითებით გვთხოვს ვერიდოთ კონტაქტებს წვიმის წყალთან და უქოლგოდ არ ვიაროთ დიდი ხნით სალოდინო წვიმაში.



### დალაქების წესები

**რუსეთის ფედერაციის მთავარმა სანიტარიულმა ექიმმა გენადი ონიშჩენკომ (მას ჩვენში კარგად იცნობენ თავისი განკარგულებით ქართული პროდუქციის იმპორტთან დაკავშირებით) დაამტკიცა ახალი სანიტარიული წესები და ნორმები პარიკმახერებისა და კოსმეტიკური სალონებისათვის.** ახალი წესები ავალდებულებს საპარიკმახეროების მუშაკებს კარგად დაიბანონ ხელი თითოეული კლიენტის მომსახურების წინ, კანის დაზიანებანი (გაჩხაპნილი, გაჭრილი და ა.შ.) ხელებზე დაიფარონ ლეიკოპლასტით ან რეზინის სათითეებით, არ მოსწიონ და არ მიიღონ საკვები სამუშაო ადგილზე. კოსმეტიკური კაბინეტების თანამშრომლებმა ხელების დასამუშავებლად უნდა გამოიყენონ ანტისეპტიკური საშუალებანი.

ყველა მანიპულაცია, რომლის დროსაც შეიძლება მოხდეს ხელების გაჭუჭყიანება სისხლით, უნდა წარმოებდეს რეზინის ხელთათმანებით ჰეპატიტითა და სხვა დაავადებათა თავიდან ასაცილებლად.



მომსვლელებში პედიკულეზის აღმოჩენის შემთხვევაში კლიენტი აუცილებლად უნდა გაიგზავნოს სანიტარიულ გამტარში. მისი მომსახურების დროს გამოყენებული ინსტრუმენტები და თეთრეული უნდა გაატარონ დეზინფექციაში, ავადმყოფის თმები უნდა მოათავსონ ჰერმეტულ პარკში...

წესები ძალაში შევიდა მიმდინარე წლის აგვისტოდან.

### ცეკვა – მკურნალი



**არგენტინულ ტანგოს სულ უფრო ხშირად „უწერენ“ თერაპიის სახით. თურმე, ხანდაზმულები, ვინც ტანგოს ცეკვავენ, თავს გრძნობენ გაცილებით უკეთესად, ჯანმრთელდებიან უფრო სწრაფად, ზოგიერთს კი წამლის მიღებაც აღარ სჭირდება. თანაც ტანგო „კურნავს“ როგორც გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, ისე დეპრესიებს, ფსიქოზს, პარკინსონის დაავადებას.**

დადებით ეფექტს იძლევა არა მხოლოდ ცეკვა, არამედ ტანგოს მუსიკისა და სიმღერის მოსმენაც. გამოკვლევებმა, რომლებიც მოაწყვეს ფავოლოროს გულ-სისხლძარღვთა დაავადების ცენტრში, აჩვენეს ტანგოს დადებითი თვისებები და სარგებლიანობა ადამიანის რეაბილიტაციისთვის ინსულტის შემდეგ, აგრეთვე ჰიპერტონიით დაავადებული ადამიანებისთვის.

ЗДОРОВЬЕ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები C-300 აფხაზეთში: სტრატეგიაა თუ პოლიტიკა?

**რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდლის გენერალ-პოლკოვნიკ ალექსანდრ ზელინის 11 აგვისტოს განცხადებას იმის შესახებ, რომ რუსეთმა აფხაზეთში განალაგა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი C-300, ვაშინგტონში გაოცება არ გამოუწვევია. როგორც ამასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ფილიპ კროულიმ თქვა – „ჩვენ ვიცოდით, რომ რუსეთის რაკეტები C-300 იმყოფებოდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში“**

C-300-ის განთავსება რუსმა სამხედროებმა დაასაბუთეს იმის აუცილებლობით, რომ საჭიროა დაიცვან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საჰაერო სივრცე. თავის მხრივ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილემ თემურ იაკობაშვილმა განაცხადა, რომ რუსეთის სარაკეტო კომპლექსის განთავსება ამ რეგიონში არღვევს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელსაც ხელი მოეწერა 2008 წლის აგვისტოში. მან მოუწოდა სხვა ქვეყნებს წინ აღუდგნენ მოსკოვის გეგმებს ორი სეპარატისტული რესპუბლიკის მილიტარიზაციასთან დაკავშირებით.

საბჭოთა კავშირში 1978 წლიდან მოქმედი C-300 არის კლას „დედამიწა-ჰაერის“ სარაკეტო კომპლექსი, რომელსაც შეუძლია აღმოაჩინოს და გაანადგუროს ბალისტიკური და ფრთიანი რაკეტები და აგრეთვე დაბალ სიმაღლეზე მფრენი თვითმფრინავები 100-200 კილომეტრამდე რადიუსში სისტემის საგარეო პირობების მოდიფიკაციის შესაბამისად. C-300 კარგად არის ცნობილი დასავლეთში, როგორც რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა, რის მიყიდვასაც ირანისთვის რუსეთი ცდილობდა უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში. ზოგიერთი დასავლელი ექსპერტის აზრით, მოსკოვმა ეს გამოიყენა დასავლეთისგან მრავალი დათმობის მისაღებად. დასავლეთი ხომ დაინტერესებული იყო ასეთი გარიგების თავიდან ასაცილებლად, რათა მას არ გამოეწვია სიტუაციის დესტაბილიზაცია ახლო აღმოსავლეთში.

მიმაჩნია, რომ სარაკეტო კომპლექს C-300-ის განთავსება აფხაზეთში არ გამოიწვევს რაიმე განსაკუთრებულ გავლენას რუსეთსა და საქართველოს შორის ახალი ომის აფეთქების შემთხვევაში, ვინაიდან რუსეთის სამხედროებს ისედაც შეუძლიათ, დაამარცხონ საქართველოს შეიარაღებული ძალები ნებისმიერ შემთხვევაში. რუსეთის სამხედრო საჰაერო ძალებს, რომლებსაც აქვთ რამდენიმე ბაზა რუსეთის სამხრეთში საქართველოს მახლობლად, აქვთ აშკარა საჰაერო უპირატესობა საქართველოს სამხედრო საჰაერო ძალებზე, რომლებსაც აქვთ გამანადგურებელ სუ-25-ის უმნიშვნელო რიცხვი. ამ თვითმფრინავებმა, სხვათა შორის, წარუმატებლად გამოიჩინეს თავი 2008 წლის კონფლიქტის დროს.

ჩემი აზრით, C-300-ის არსებობა ამ რეგიონში გავლენას არ მოახდენს მომავალ მოქმედებებზე ნატოს მხრიდან, თუმცა შესაძლებელია, ეს იყოს მისი ძირითადი აზრი. თბილისმა, თავის მხრივ, მოსკოვის მოქმედება აღიქვა, როგორც საკუთარი უშიშროების საფრთხე. მაგალითად, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ეს დაახასიათა, როგორც „უკიდურესად სახიფათო და პროვოკაციული ნაბიჯი, რომელიც წარმოადგენს საფრთხეს არა მხოლოდ შავი ზღვის რეგიონისთვის, არამედ მთლიანად მთელი ევროპული უშიშროებისთვისაც“. ქართველი პოლიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ეს მოქმედება იყო პასუხი ობამას ადმინისტრაციის გეგმებზე აღმოსავლეთ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო ფარის მოწყობასთან დაკავშირებით.

როგორ სიმპათიებსაც უნდა განიცდიდნენ ევროპელები და ამერიკელები ქართველი ხალხისადმი, 2008 წლის მოვლენებმა აშკარად აჩვენეს, რომ დასავლეთი არ აპირებს საქართველოს გადარჩენას რუსეთის ტანკებისა და ბომბდამშენებისაგან. ამავე დროს, როგორც მე მიმაჩნია, საზენიტო-სარაკეტო კომპლექს C-300-ის განთავსებამ შეიძლება იქონიოს ზეგავლენა პენტაგონის განზრახვაზე. ააგოს დიდი უჩინარი თვითმფრინავები F-22. მართალია ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი რობერტ გეიტსი უკმაყოფილო იყო ამ თვითმფრინავის მაღალი ღირებულებით, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო საჰაერო ძალები სწორედ მიუთითებდნენ რუსეთისა და ჩინეთის რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარებზე, მოითხოვდნენ ახალი „უჩინარების“ დამუშავებას.



აჟიოტაჟი C-300-ის გარშემო, ჩემი აზრით, უნდა შევაფასოთ როგორც რუსეთის განზრახვათა დადასტურება, შეინარჩუნოს საქართველოს ორი გამოყოფილი რეგიონის დამოუკიდებლობა. ადრე, მიმდინარე წელს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებმა ნება მისცეს რუსეთს განათავსოს თავისი ორი სამხედრო ბაზა თავიანთ ტერიტორიებზე, თითოეული სულ ცოტა 1700 სამხედრო მოსამსახურის ოდენობით. გუდაუთის ბაზა შავი ზღვის სანაპიროზეა. სამხრეთ ოსეთის ბაზა კი მის დედაქალაქში, ქალაქ ცხინვალში. თითოეულ მათგანში არიან ტანკები ტ-62, მსუბუქი ჯავშანტრანსპორტიორები, რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარები და სხვადასხვა თვითმფრინავები, რომ აღარაფერი ვთქვათ დაახლოებით 2000 სამხედრო მოსამსახურეზე.

ამას წინათ რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი მოულოდნელი ვიზიტით ჩავიდა აფხაზეთში. ეს იყო პირველი ვიზიტი საქართველოსთან ომის დამთავრების შემდეგ, რათა აღენიშნა კონფლიქტის ორი წლისთავი. დასავლელი მიმომხილველების აზრით, ეს ვიზიტი შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივ ჩაითვალოს წარმატებულად, თუ მისი მიზანი იყო რუსეთის საზოგადოებრივი ყურადღების გადატანა ტყის ხანძრებიდან, რომლებმაც რუსეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დააზიანეს.

ამ კონტექსტში, მინდა გამოვთქვა იმედი, რომ რუსეთი, საქართველო და ნატო მომავალში ყურადღებას გაამახვილებენ გაერთიანებულ ძალისხმევაზე – იბრძოლონ საერთო და გაცილებით უფრო რეალურ საშიშროებასთან, ისეთთან, მაგალითად, როგორიცაა კლიმატის გლობალური დათბობა.

**რიჩარდ ვაიტსი,**
ვაშინგტონში ჰუძონის ინსტიტუტის
უფროსი ანალიტიკოსი

VOA NEWS Голос Америки

# ქართველი გეები იატაკქვეშეთიდან გამოსვლას ცდილობენ

**საქართველოში გორდება სკანდალი ბათუმში გეი-აღლუმის შესაძლო მოწყობასთან დაკავშირებით. ქვეყანაში, სადაც მოსახლეობა ვერ ფარავს თავის დამამცირებელ დამოკიდებულებას სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებისადმი, ასეთი მსვლელობის მოწყობა შიშს იწვევს ლიბერალებშიც კი**

მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით არ გაკეთებულა არანაირი ოფიციალური განცხადება არც ხელისუფლების მხრიდან, არც ლესბოსელთა, ჰომოსექსუალისტების, ბისექსუალებისა და ტრანსვესტიტების გაერთიანებათა წარმომადგენელთა მხრიდან, საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უკვე განიხილავენ ასეთი მსვლელობის მოწყობის შესაძლებლობას. ქართული ტრადიციებისა და მორალის დამცველები იმუქრებიან ამ ღონისძიების ჩაშლით.

18 წლის აჩიკო სიამაყით ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რას გააკეთებს იგი, თუ ბათუმის ქუჩებში მსვლელობას მოაწყობენ სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენლები. „თუ ისინი ამას გააკეთებენ, უნდა დავარბიოთ! ეს სირცხვილია საქართველოსთვის, ასეთი ხალხი არ უნდა არსებობდეს ჩვენს ქვეყანაში!“ – ამბობს აჩიკო.

აჩიკოს მხურვალე სიტყვებში აღარ ისმის მისი ძერათმიანი მეგობრის ჩუმი წინააღმდეგობა: „იყვნენ, თუ არიან, მაგრამ იყვნენ თავისთვის“.

საქართველოში, სადაც მართლმადიდებლური ეკლესია სარგებლობს უმრავლესობის ურყევი ავტორიტეტითა და ნდობით, სადაც არა მხოლოდ სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენლები, არამედ ნებისმიერი გამონათქვამიც კი მათი უფლებების დასაცავად, აღიქმება როგორც ტრადიციებისა და ეკლესიისადმი დაპირისპირება.

საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი კრიტიკოსი გოგა ხაინდრავა ბი-ბი-სის რუსული სამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში, აღნიშნავს, რომ აღლუმის მოწყობისთვის მზადება მიმდინარეობს და ამ ღონისძიების ინიციატორი საქართველოს მთავრობაა.

ხაინდრავა დარწმუნებულია, რომ აღლუმი – ეს არის კამპანია ქართული ეკლესიისა და ტრადიციების წინააღმდეგ.



ბი-ბი-სის რუსული სამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თემურ დიასამიძემ განაცხადა, რომ მისთვის უცნობია ბათუმში ასეთი ღონისძიების მოწყობის შესახებ. თავად ქალბატონი ნინა ძოზალია, დეპარტამენტის შტატგარეშე თანამშრომელი და ექსპერტი საზოგადოებასთან ურთიერთობაში, ასევე უარყოფს თავის მონაწილეობას დაგეგმილი ღონისძიების ორგანიზაციაში.

„მე არ ვლაპარაკობ, რომ გეი-აღლუმის მოწყობა საქართველოში ეს არის ცუდი ან მიუღებელი, მაგრამ მე ამის შესახებ არაფერი ვიცი და არანაირი ურთიერთობა მასთან არ მაქვს“, – განუცხადა ძოზალიამ ბი-ბი-სის რუსულ სამსახურს.

ფსიქოლოგი და სპეციალისტი გენდერულ საკითხებში ნანა ბერეკაშვილი მიიჩნევს, რომ გეი-აღლუმის მოწყობამ საქართველოში შეიძლება გამოიწვიოს ნეგატიური შედეგები. მაგრამ სექსუალურ უმცირესობათა და მათ უფლებათა თემა მოითხოვს უფრო ვრცელ განხილვას.

ბერეკაშვილის სიტყვებით, უმრავლესობა საქართველოში აშკარად გამოხატავს თავის დამამცირებელ დამოკიდებულებას სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებისადმი, ხოლო მოსახლეობის ზრდის იდეა, რასაც პროპაგანდას უწევენ როგორც ეკლესია ისე სახელმწიფო, იწვევს სექსუალურ უმცირესობათა უკმაყოფილებას.

3 წლის წინათ მზადდებოდა აქცია „ყველა სხვაგვარი – ყველა თანაბარუფლებიანია!“, მაგრამ იგი გააუქმეს იმის განცხადების შემდეგ, რომ ეს ღონისძიება საქართველოში პირველი გეი-აღლუმის მოწყობის ფაქტობრივი მცდელობააო.

საქართველოს საპატრიარქო მაშინ ასევე გამოვიდა განცხადებით იმის შესახებ, რომ ღონისძიებამ შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკური დაპირისპირება, ვინაიდან საზოგადოებრიობა მისადმი ნეგატიურად არის განწყობილი.

ჰომოსექსუალობა საქართველოში ლეგალურად იქნა აღიარებული 10 წლის წინათ, მაგრამ სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენლების უმრავლესობა კვლავ აგრძელებს „ცხოვრებას იატაკქვეშ“, ამბობს პაატა საბელაშვილი, ფონდ „ინკლიუზივის“ – ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვანი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელიც მუშაობს სექსუალურ უმცირესობათა უფლებების საკითხებზე, – ის, ვინც გაბედავს ღიად განაცხადოს თავისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ, დაცინვისა და აგრესიის ობიექტი ხდება.

დღეს, როდესაც ზიხარ კაფეში თბილისის ცენტრში, 37 წლის ნიკა უკვე ღიად და ღიმილით გვიამბობს თავისი ბავშვობის შესახებ. ერთადერთი, რაც მას ახსენებს იმას, რისი გადატანაც მოუხდა, – ეს იყო უამრავი მტკივნეული შრამი გარუჯულ ხელებზე.

„ხშირად მინდოდა თავის მოკვლა, უბრალოდ აღარ შემეძლო ბრძოლა, დავიღალე მუდმივად მემტკიცებინა ყველასთვის, რომ ავადმყოფი არა ვარ“, – ამბობს ნიკა.

საბელაშვილის სიტყვებით, ნიკა გამონაკლისი როდია. სექსუალურ უმცირესობათა თითქმის ყველა წარმომადგენელი პრობლემას აწყდება არა მხოლოდ ქუჩაში, არამედ თავისი მშობლების მხრიდანაც, როგორც კი ცხადი ხდება მათი განსხვავება უმრავლესობისგან.

26 წელიწადია ირაკლი (სახელი შეცვლილია) უმალავს თავის მშობლებს, რომ ის არის გეი, მისი სიტყვებით, ეს მისი საიდუმლოა, რისი გამჟღავნებითაც იგი ეწევა რისკს, დაკარგოს ყოველივე თავის ცხოვრებაში.

„იქნებ ოდესმე დადგეს დრო, როდესაც შემეძლება გამოვავლინო თავი და აღარ შემრცხვეს, – ამბობს ირაკლი. – მაგრამ დღეს, დარწმუნებული ვარ, რომ ეს იქნება დარტყმა და სირცხვილი ჩემი ოჯახისთვის, ასე რომ, უმჯობესია ყველაფერი თავის ადგილზე დარჩეს“.

**ნინა ახმეტელი**

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**უცნობი თვითმფრინავი გაფრინდა ობამას „ნომერ პირველი ბორტის“ მახლობლად. მის გადასატაცად აფრინდა F-15**

მაგრამ „მფრინავმა ობიექტმა“ დატოვა დახურული საჰაერო სივრცე გამანადგურებლის მოსვლამდე. ამიტომ გადატაცების ოპერაცია ვერ განხორციელდა. ობამა მიდიოდა სიეტლში ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატორის პეტი მიურეის მხარდასაჭერად შუალედურ არჩევნებში, რომელიც ნოემბერში უნდა გაიმართოს.

* * *

**მეტეოროლოგმა შეარცხვინა სამხედრო საჰაერო ძალები, მან პირდაპირ ეთერში აჩვენა უწესო ჟესტი**

ახალი ამბების წამყვანმა თქვა, რომ ტომაშ შაფერნაკერი ემზადება გამოვიდეს ამინდის პროგნოზით, მან კი სახუმაროდ ბრაწნი აჩვენა. შაფერნაკერმა არ იცოდა, რომ ამ დროს კამერები მასზე იყო გადართული – დრო ამინდის პროგნოზისთვის ჯერ კიდევ არ იყო დამდგარი. სამხედრო საჰაერო ძალებმა და მეტეოსამსახურმა ბოდიში მოიხადეს.




* * *

**ჩრდილოეთ კორეის თვითმფრინავი დაიმსხვრა ჩინეთში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: მფრინავი რუსეთში გაქცევას აპირებდა**

ინციდენტი მოხდა სამშაბათს საღამოს ლიაონინის პროვინციაში. ზოგიერთი მონაცემებით, იქ დაიღუპა გამანადგურებელი მიგ-15 – ასეთ თვითმფრინავებს იყენებდნენ 1950-იანი წლების კორეის ომის დროს. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეები ხშირად ცდილობენ ქვეყნიდან გაქცევას, მაგრამ თვითმფრინავით გაქცევის მცდელობა იშვიათი მოვლენაა.

* * *

**ფილიპინებში ავტობუსი ხრამში ჩავარდა: 35 კაცი დაიღუპა**

მძღოლი ავტობუსისა, რომელშიც 48 კაცი იმყოფებოდა და რომელიც ქალაქ ბაგიოში მიდიოდა, მოულოდნელად მთის გზაზე ხრამში გადავარდა, რომლის სიღრმეც 10 მეტრზე მეტია.

* * *

**არგენტინელი მფრინავი დაუზიანებლად დაეშვა დედამიწაზე მას შემდეგ, რაც მისმა თვითმფრინავმა ცაში ფრთა დაკარგა**

მფრინავმა შეასრულა რთული ტრიუკი, როდესაც თვითმფრინავს მოულოდნელად მოწყდა ფრთა, გაუჩნდა ცეცხლი და დაიწყო სწრაფად ვარდნა. მფრინავმა დროულად მოახერხა გადმოხტომა პარაშუტით. დანგრეული თვითმფრინავი დაეცა მაყურებელთა მოშორებით.



## ჩვენი ბიბლიოთეკა

ერთხანს ბრიდა ჯერ კიდევ არჩევდა წყვდიადში მოგვის სილუეტს, მაგრამ მალე მოგვი ტყეს შეერია და მარცხნივ ხეებში მიიმალა. ეგება მარტოობის შიშს როგორმე ვძლიოო, ყმაწვილქალმა თავისი თავის დაურვება და გამაგრება სცადა. ეს იყო პირველი გაკვეთილი, რომელიც მან შეითვისა, და რაც იმას ნიშნავდა, რომ ადამიანმა არცროდის არ უნდა შეიტყოს მღელვარება.

„რახან მოწაფედ ამიყვანა, იმედს ვერ გავუცრუებ“.

ბრიდა თავისი თავით კმაყოფილი იყო და ამავე დროს უკვირდა, რა სწრაფად მოხდა ყველაფერი. არა, თავის შნოსა და სიმარჯვეში არცროდის ეჭვი არ შეჰპარვია – აკი ამიტომაც აღმოჩნდა ახლა აქ. და სჯეროდა, რომ სადმე ახლომახლო კლდეს ამოფარებული მოძღვარი უჩუმრად ადევნებდა თვალყურს, ამოწმებდა, როგორ იქცევაო, როგორ აითვისაო გრძნება-მაგიის პირველი გაკვეთილი. ვაჟკაცობასა და შემართებაზეც ტყუილად არ ჩამოუგდია სიტყვა: შიშმა რომც შეგიპყროს და დაგრიოს ხელი, შენი თავზარდაცემულობა მაინც არ უნდა გამოაჩინო, თუმცა, რაც ამ მთის წვერზე შიშის მომგვრელი გველი და მორიელი ირეოდა, სუყველა ერთად სადღაც ცნობიერების ფსკერზე აუფუთფუთდა. არა, არ შეიძლება, რომ მოძღვარმა მალე არ იბრუნოს პირი.

„მე ძლიერი და გაბედული ვარ, – თავისთვის ბუტბუტებდა ბრიდა. – ჩემთვის დიდი პატივია აქ ყოფნა, ამ კაცთან ერთად, რომელიც ადამიანთ თაყვანების გრძნობას უნერგავს ანდა შიშის ზარსა სცემს“. მან ამ კაცთან გატარებული მთელი დღევანდელი დღე სულ წუთობით გაიხსენა და, ცხადია, არც ის წუთი გამორჩენია, როცა მოგვს ხმაში სინაზის კილო შეამჩნია. „ეგება მაგასაც მიმზიდველი ვეჩვენე. ეგება სულაც მაგას უნდა ჩემთან სიყვარულობა“. ძალიანაც სასარგებლო გამოცდილება იქნებოდა – აკი უჩვეულო რამ ცეცხლი უკრთოდა მოგვს თვალებში.

„რა სულელური აზრები მომდის“. შეცნობისა თუ შემეცნების გზას ჯერ არც დამწყემსებია და ყოვლის უფრო ჩვეულებრივი დედაკაცივით კი ფიქრობს. ბრიდა ასეთი ბანალობისთვის თავის არიდებას შეეცადა და უცებ მიხვდა, რომ უკვე კარგა ხანს გაევლო იმ წუთიდან, რაც მოგვმა ის მარტო დატოვა.

და იგრძნო, როგორ უბუდდებოდა სულში პანიკური შიში: ამ კაცზე ათასნაირი და ერთმანეთის საწინააღმდეგო ხმები დადიოდა. ვიღაც-ვიღაცები ირწმუნებოდნენ, ეგ ყოვლის უფრო მძლავრი და ძალამოსილი მოძღვარია იმათ შორის, ვისაც კი ჩვენ ვიცნობთო, მაგას მხოლოდ და მხოლოდ აზრის ძალის გამოყენებით ძალუძს ქარების მიმართულების შეცვლა და ღრუბლების დაჩვრეტა-დათვალიანებაო. როგორც ყველას, ბრიდასაც ხიბლავდნენ და აჯადოებდნენ მსგავსი სასწაულები.

ხოლო სხვანი – გრძნება-მაგიის სამყაროს ზიარებულნი, ანუ ისინი, ვინც იმავე კურსებს ესწრებოდა, რომელთაც თვითონ ბრიდა გადიოდა,– იფიცებოდნენ, ეგ კაცი შავი მაგიის ბევრ საიდუმლოს არის დაუფლებული და ერთხელ, ქმრიანი ქალი რომ შეუყვარდა, იმისი ქმარი თავისი ძალმოსილების წყალობით გაანადგურაო. და ვითომ ამის გულისთვის დასჯილი მოძღვარი კაცი ტყე-ტყე მარტოდმარტო ხეტიალისთვის იყო განწირული.

„ეგება მარტოობისგან კიდევ უფრო მეტად შეირყა ჭკუაზე?“ – გაიფიქრა ბრიდამ, და პანიკის ახალი შეტევა იგრძნო. თავისი ყმაწვილქალობისდა მიუხედავად, მან კარგად იცოდა, რაოდენ დამღუპველ ზეგავლენას ახდენს ადამიანებზე მარტოობა, მეტადრე როცა ხანში შედიან. ხან ისეთებსაც გადაჰყრია, ვისაც წინააღმდეგობის გაწევის თავი არა ჰქონია, ვერ გაუძლია სიმარტოვისთვის, ხელი ჩაუქნევია და, მარტოობაში ყელამდე ჩაფლულს, სულ დაუკარგავს სიცოცხლის ხალისი. ამ ადამიანთა უმეტესობა ისინი იყვნენ, ვინც ჰგონებდა, ამქვეყნად არცრა სახელ-დიდებაა, არცრა ღირსებაო, და თავიანთი დარჩენილი წუთისოფელი, დღედაღამ, სხვათა მიერ ჩადენილი შეცდომების განუწყვეტელ ჩამოთვლაში გაჰყავდათ. მარტოობას ის ადამიანები ამა სოფლის მსაჯულებად ექცია, რომელთაც საქვეყნოდ, ყველას გასაგონად გამოჰქონდათ თავიანთი განჩინებანი – ოღონდაც ვინმე ისეთი ეპოვათ, ვინც დადგებოდა და მოუსმენდა. ეგება მარტოობამ მოგვსაც დააკარგვინა გონება?

ანაზდეულად იქავე გვერდით რაღაც გაჩქამდა და ელდისაგან გულაფანცქალებული ბრიდა განზე გახტა. თითქოს იმ ხმიანობამ კვალწმინდად თან გაიყოლაო, ისე უმალ გაუქრა ყმაწვილქალს წეღანდელი მშვიდი სულისკვეთება და გულისყურიანობა. წამერთ გარშემო მიმოიხედა, მაგრამ თვალი ვერა სულიერს ვერ მოატანა და კვლავ იგრძნო, როგორ დაუარა მთელ ტანში გულის კოვზთან გაჩენილმა შიშის ტალღამ.

„თავს უნდა მოვერიო“, – გაიფიქრა მან, მაგრამ თავის მორევის ნიათი ნამდვილად არა ჰქონდა. გონებაში კვლავ აუფუთფუთდნენ გველნი და ღრიანკალნი, და არც ბავშვობის დროინდელ ურჩხულთ დაუყოვნებიათ გამოჩენა. ყმაწვილქალი შიშის ზარს ისე დაეზაფრა და შეეძრწუნებინა, რომ თავის დაოკება თუ დამორჩილება აგრერიგად ადვილი აღარ იყო. მალე შეგნებაში კიდევ ერთი ლანდი გაუკრთა, ეშმაკთან გარიგებული კუდიანის ლანდი.

– სადა ხარ? – ვეღარ მოითმინა და შეჰყვირა ბრიდამ, რომელსაც სულ აღარ აფიქრებდა, თუ ვისზე რა შთაბეჭდილებას მოახდენდა თავისი საქციელით. ახლა მხოლოდ და მხოლოდ ამ ჩაწყვდიადებული ტყიდან რაც შეიძლება მალე გასვლა ეწადა.

ხმის გამცემი კი არსაით არა ჩანდა.

– წასვლა მინდა! მიშველე! გამიყვანე აქედან!

მაგრამ ირგვლივ მხოლოდ ტყე ერტყა, იდუმალი შრიალითა და შარიშურით მოცული. ბრიდას სული კბილით ეჭირა, ეჩვენებოდა, რომ ცოტაც და გრძნობას დაკარგავდა. თუმცა რაც შეეძლო მაინც მაგრობდა: ახლა, როცა იცოდა, რომ ის გრძნეული კაცი არსად ახლომახლო არ იყო, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ძველი თავშეკავებულობა უნდა დაებრუნებინა.

და ამ აზრმა წამერთ მიახვედრა, რომ ჯერ კიდევ შერჩენოდა რაღაც შინაგანი ძალა, რომელიც საბრძოლველად განაწყობდა. „ყვირილი რა საჭიროა“, – ყოვლის უწინარესად გაიფიქრა მან. ყვირილმა იქნებ ტყეში მცხოვრები ადამიანების ყურადღებაც მიიქციოს, ტყეში მცხოვრები ადამიანი კი მხეცზეც და ნადირზეც ბევრად უარესია.




„მწამს, მწამს ღმერთი, – დაიწყო მან ბუტბუტი. – მწამს ჩემი მფარველი ანგელოზი, რომელმაც აქ მომიყვანა და დარჩა ჩემთან, არ მიმატოვა. თვალის დამკვრელი არა ვარ, არ ვიცი, როგორ გამოიყურება ის ჩემი ანგელოზი, მაგრამ მჯერა, რომ აქ სადღაც ჩემ გვერდით ტრიალებს, რა არი ქვას ფეხი არ წამოვკრა“.

ბოლო სიტყვები იმ ფსალმუნის სტრიქონიდან იყო, ბავშვობაში რომ დაიზეპირა, მერე კი მრავალ წელიწადს არც გაუხსენებია. ეს ფსალმუნი ოდესღაც დიდედამ ასწავლა. ის ახლა უკვე დიდი ხნის მკვდარია. ოჰ, ნეტავი გააცოცხლა და აწ აქა ქნა! არა, დასტურ სულსაც არ დაიშურებდა ბრიდა, ოღონდ გვერდით ვინმე ახლობელი ადამიანი ჰყოლოდა.

და თანდათან მიხვდა მარტოობისგან წარტყვევნილი ყმაწვილქალი, თუ რაოდენ დიდი ზღვარია საშიშროებასა და შიშს შუა.

„უზენაესის საფარქვეშ დამკვიდრებული“... აგრე იწყებოდა ეს ფსალმუნი. ბრიდამ იაზრიკვალა, რომ სუყოველი სიტყვა ახსოვდა, თითქოსდა თვითონ დიდედა უკითხავდა. ერთხანს ღიღინით იმეორებდა ფსალმუნის სტრიქონთ, წამიერადაც არ შეჩერებულა, და შიში თუმცა არ გაჰქრობია, მაგრამ თავი ბევრად უფრო გამხნევებულად იგრძნო. ამწუთას არჩევანი დიდი არა ჰქონდა: ან უნდა ღმერთი და მფარველი ანგელოზი ერწმუნა, ან სასოწარკვეთილებას მისცემოდა.

და სულ ახლომარედ ვიღაცის ყოფნა იგრძნო, ვინც იცავდასავით და მფარველობდასავით. „უნდა ვირწმუნო ამ ვიღაცის ჩემ გვერდით ყოფნა. არ ვიცი, როგორ ავხსნა, მაგრამ ნამდვილად აქ არის, არსებობს. და მთელი ღამე ჩემთან ერთად იქნება, ვინაიდან აქედან მარტო ვერასგზით ვერ გავაღწევ“.

ბავშვობაში ბევრჯერ მომხდარა, რომ შუაღამისას შიშისაგან გაღვიძებია. მაშინ მამა ხელში აიტატებდა ხოლმე, ფანჯარასთან მიიყვანდა და დაანახვებდა ქალაქს, რომელშიაც თვითონ ცხოვრობდნენ. ნამძინარევსა და დამფრთხალს მამა ხან ღამის მხმილავ-ყარაულებზე უყვებოდა, ხან მავან მერძევეზე, რომელსაც უკვე კარდაკარ დაჰქონდა რძე და მაწონი, ხანაც მეპურის ამბავს მოაყოლებდა, ყოველღამ თონეში რომ იყო ჩაყუდებული! და ის აზრი, რომ ქვეყანაზე იყვნენ ადამიანები, ვინც ღამის წყვდიადში თვალს არ ხუჭავდა, თანდათან უფრთხოდა ღამეულ ურჩხულთ. „ღამე მხოლოდ დღის ნაწილია“, – ხშირად იმეორებდა ხოლმე მამა.

ღამე მხოლოდ დღის ნაწილია. და ზუსტად ისევე, როგორაც დღის სინათლისგან გრძნობდა თავს დაცულად, ბრიდას ღამის წყვდიადი უწევდა ახლა მფარველობას, წყვდიადი, რომელმაც ვიღაც მადლიანი კეთილისმყოფელი გაუჩინა. ბრიდას არ შეეძლო, რომ არ მინდობოდა ამ კეთილისმყოფელს. ეს მინდობა, ეს ნდობა კი რწმენა იყო, რომელსაც ვერცროდის ვინმე ვერ გაიგებს. არადა ამ ბნელ ღამეში ბრიდას დიახაც რწმენით ჰქონდა სული აღვსილი. და რწმენა მხოლოდ და მხოლოდ იმად არსებობდა, რაკიღა ყმაწვილქალს ის დაეთავისებინა, თავისად გაეხადა. ხან ალი-კვალად აგრევე ხდება ხოლმე არა ერთი და ორი აუხსნელი სასწაული, ოღონდ მარტოოდენ იმ ადამიანთათვის, ვისაც სჯერა კაცთაგან მიუწვდომელი ზესთა ბუნების საკვირველი საქმე.

„რაღაცას პირველი გაკვეთილის გამო მეუბნებოდა“, – გაიფიქრა ბრიდამ, რომელიც თანდათან ხვდებოდა ამღამინდელი ამბის აზრსა და არსს. ვიღაცა მცველის თუ მფარველის იქავე გვერდით ყოფნის შეგრძნება იმად გაუჩნდა, რახან ირწმუნა, უხილავი რამ ძალა მიფარავსო. აგრერიგად მტანჯველი ხანგრძლივი ნერვიული დაძაბულობაც ნელინელ დაუცხრა და ყოველწუთიერად სულ უფრო ცხადად გრძნობდა, რა საიმედოდ და შეუვალად იყო დაცული.

ყმაწვილქალს რწმენის ჯავშანი ემოსა. და რწმენა არაფრის გულისთვის არ იზამს, რომ ეს ტყე კვლავაც გველთა და მორიელთ ააპირთაონ. რწმენა ფხიზლად უმყოფებს მფარველ ანგელოზს და ერთგულად უმღვიძარებს.

ბრიდა ზურგით აეყუდა კლდეს და თავისდა შეუმჩნევლად ჩაეძინა.

ხოლო როცა გამოეღვიძა, უკვე კარგა გათენებული იყო, და ცხრათვალა მზე არემარეს ავარაყებდა. ბრიდა გაითოშა და ამოისვარა, მაგრამ სული უზეიმებდა. მთელი ღამე მარტოდმარტომ გაატარა მიყრუებულ ტყეში.

მოგვს თვალებით დაუწყო ძებნა, თუმცა ესმოდა, რომ ტყუილად ეძებდა. ის ახლა, ალბათ, სადმე უღრანში დაბორიალებდა, ცდილობდა, რომ „ღმერთს ზიარებოდა“, და თავის თავს ერთსა და იმავეს ეკითხებოდა, ნეტავი იმ ყმაწვილქალს გაბედულება თუ ეყო მზის ტრადიციის პირველი გაკვეთილის შესათვისებლადო.

– მე შევიცანი ღამის წყვდიადი, – შეჰბუტბუტებდა ბრიდა აწ უკვე გაყურსულ ტყეს. – ჩავხვდი, რომ ღვთის ძიება ღამის წყვდიადია. რომ რწმენაც ღამის წყვდიადია. და ამაში არცრა საკვირველი არა ყოფილა რა. სუყოველი ადამიანის სუყოველი დღე ღამის წყვდიადია. არავინ არ უწყის, რა მოხდება მომდევნო წამს, მაგრამ ადამიანები წინ მიდიან მაინც. იმიტომ რომ რწმენით დაჯილდოებულნი და ნდობით აღვსილნი არიან.

ანდა იქნებ იმიტომ, რომ ვერ მიმხვდარან, რა საიდუმლოს შეიცავს ჯერ კიდევ დაუდგომელი წამი. მაგრამ ამას არც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს – მთავარი მხოლოდ ის არის, რომ თავად ეს ჩახვდა ჩასახვედრს.

ჩახვდა, რომ ცხოვრების სუყოველი წამი რწმენის ძალისხმევაა.

რომ ეს წამი თუ წამისყოფა ეგება გველმა და ღრიანკალმაც დახაფრონ ანდა მფარველმა ძალამ დაიჭიროს.

რომ რწმენა ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს. რამეთუ ის ღამის წყვდიადია. თუ გნებავს – ჩაეჭიდე, არადა – უკუაგდე, აშა ჰკარი.

ბრიდამ საათს დახედა და იაზრა, რომ გვიანი იყო. აჩქარდა, უწინარესად ავტობუსისთვის უნდა მიესწრო და მერე, სამ საათში, გზადაგზა, დამაჯერებელი რამ ამბავი უნდა მოეგონებინა თავისი ნანდაურისთვის, რომელიც არაფრის დიდებით არ დაუჯერებს, რომ მთელი ღამე მარტოკამ გაატარა ტყეში.

– მზის ტრადიციის გაგება ძალიან ძნელია! – გაჰყვირა მან ტყეს. – ჩანს, ჩემი თავის მოძღვრობა თავად მომიწევს, მე კი სულ სხვა რასმე ველოდი.

და შორს, ქვემოთ, გაშლილ დაბას მოავლო თვალი, გულში ტყე-ტყე სავალი გეზი იაზრიკვალა და დაიძრა. მაგრამ მანამდე კიდევ ერთხელ მიბრუნდა კლდისკენ.

– ერთი რამ უნდა გითხრა! – შეჰყვირა წკრიალა, მხიარული ხმით. – უცნაური კაცი ხარ, ძალიან მაზალო ვინმე.

გადმოაქართულა
**გურამ გოგიაშვილმა.**

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 152-153.**

◎ კალათბურთი

# „უგანგაშო“ წაგება




**თავიდანვე გვსურს დაგამშვიდოთ: მართალია, 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეხუთე ტურის შეხვედრა პოლონეთში დავთმეთ — 58:67, მაგრამ ამით ქვეყანა არ დაქცეულა. ჯერ ერთი, მრისხანე მეტოქესთან ორრაუნდიანი დუელი დადებითი ბალანსით დავასრულეთ, რაც საკვალიფიკაციო ბატალიების ტოლი ქულებით დასრულების შემთხვევაში უპირატესობას მოგვანიჭებს; და მეორეც — მოგეხსენებათ, გაისად ლიტვაში ფინალურ ეტაპზე ორი საუკეთესო მეორეადგილოსანიც ითამაშებს. ჰოდა, უნდა გახაროთ, რომ მეორე ჯგუფში იტალიამ სტუმრად ისრაელს სძლია — 81:76, ეს კი ნიშნავს, რომ უდიდესი ალბათობა არსებობს იმისა, რომ ელიტის საგზური ჩვენი კვინტეტის მეორეადგილოსანმა მოიპოვოს. ახლა კი, მოდით, ლოძში გამართულ პრინციპულ ბრძოლას დავუბრუნდეთ.**

**პოლონეთი — საქართველო 67:58**

**(12:8, 23:17, 12:11, 20:22)**

**საქართველო:** მარკოიშვილი — 19, სანიკიძე, გრინი — 9-9, ფაჩულია — 8, ცქიტიშვილი — 5, შენგელია, შერმადინი — 4-4 ქულა. ითამაშეს აგრეთვე ცინცაძემ და გამყრელიძემ (თუ ამას თამაში ჰქვია — **რედ.**)

**ობიექტურობისთვის მასპინძელთა ლიდერების პირად მონაგარსაც გაგაცნობთ:** გორტატი — 17, ლამპე — 14, კოჟარეკი — 13 ქულა.

**მსაჯები:** რიჟიკი (უკრაინა), მიხაილოვი (რუსეთი), კუჩერი (ჩეხეთი).

უცნაური რამაა სტატისტიკა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი შეხვედრის განმავლობაში მდევრის როლში ვიყავით და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ იგორ გრიშჩუკის გუნდი სოლიდურ უპირატესობას ფლობდა, საოქმო მონაცემები საპირისპიროზე მეტყველებს. კერძოდ, მოწინააღმდეგეს ისეთ საკვანძო კომპონენტებში ვაჯობეთ, როგორიცაა მოხსნები, საჯარიმოები და, თქვენ წარმოიდგინეთ, სამქულიანები (6:5). ამ უკანასკნელს, ნათელი წარმოდგენისთვის, კიდევ უფრო დავაკონკრეტებთ და გავშიფრავთ: მარკოიშვილი — 3 (7-დან), სანიკიძე — 1 (4-დან), ცქიტიშვილი — 1 (7-დან) და გრინი — 1 (7-დან). დავძენთ, რომ დამხვდურთაგან ამ მხრივ თავი კოჟარეკმა (4) და მაევსკიმ (1) ისახელეს.

მაშ, რატომღა დავმარცხდით? — დაგებადებათ კითხვა. გადამწყვეტი აღმოჩნდა პოლონელთა განსაკუთრებული სიზუსტით შესრულებული ტყორცნების მაღალი პროცენტი საშუალო დისტანციებიდან (ორქულიანებიდ) და „ჯვაროსანთა“ კაპიტნის ფაჩულიას ტრავმა, რომელმაც, მართალია, გარისკა და მაინც გაუძლვა პარტნიორებს სარბიელზე, მაგრამ ძალიან გაუჭირდა გორტატთან ღირსეულად გამკლავება. ეს სრულიადაც არ აკნინებს ზაზასა და მისი რაზმის თავგანწირვას — მაშინაც კი, როცა მდგომარეობა კრიტიკული გახდა და იგორ კოკოშკოვის შეგირდთა ჩამორჩენამ 16 ქულას მიაღწია (36:52), ბიჭებმა შესაშური ნებისყოფა გამოამჟღავნეს და მასპინძლებს სრულფასოვანი რევანშის აღების იმედი გადაუწურეს. ალბათ, ლოგიკურიცაა, რომ სწორედ აღნიშნულ მღელვარე წუთებში შეასრულეს შედეგიანი შორეული გასროლები ჩვენი ნაკრების იმ წევრებმა, ვისაც მთელი მატჩის მსვლელობისას ფატალურად არ უმართლებდა.



**ბულგარეთი — პორტუგალია 103:64.**

**ბულგარეთი, პოლონეთი, საქართველო, ბელგია (4 თამაშიდან) — 3-3, პორტუგალია — 0 მოგება.**

**ხვალ:** საქართველო — ბელგია, პორტუგალია — პოლონეთი. ისვენებს ბულგარეთი.

**გია პლატონიშვილი**

◎ ფეხბურთი

# ელიტის ზღურბლთან

**კიევის „დინამო“ ზედიზედ მეხუთედ ცდილობს ჩემპიონთა ლიგის ფინალურ ტურნირში მოხვედრას, ამსტერდამის „აიაქსი“ კი, პირიქით, ამდენივე სეზონია, თამაშგარე მდგომარეობაში რჩება. საინტერესოა, რომელს გაუღიმებს ამჯერად ფორტუნა.**

მათ პირველ მატჩს უკრაინის დედაქალაქმა უმასპინძლა. უფერული პირველი ტაიმის შემდეგ სტუმრები ვერტონგენმა დააწინაურა ზუსტი თაურით, იქვე მსაჯმა მინდვრიდან ხახოლთა მცველი იარმაში გააძევა და როცა ყველას ეგონა, რომ ვალერი გაზაევის გუნდს წირვა ჰქონდა გამოყვანილი, მას მხსნელად გუსევი მოევლინა. სლავთა მარჯვენაფლანგელი მეკარე კოვალის მიერ თამაშში ძლიერი დარტყმით შეყვანილ ბურთს დაეუფლა, ხელსაყრელ პოზიციაზე გავიდა და ანგარიში გაათანაბრა — 1:1. ამჯერად უჩვეულოდ პასიურად გამოიყურებოდნენ მეტოქეთა ლიდერები — შევჩენკო და დისკვალიფიკაციამოხდილი სუარესი, თუმცა გავრისკავთ და ვივარაუდებთ, რომ სწორედ მათი თამაში გადაწყვეტს საპასუხო შეხვედრისა და, შესაბამისად, ჯგუფურ რაუნდში გაღწევის ბედს.



დრამატულად განვითარდა მოვლენები ბერნში, სადაც „ტოტენჰემი“ 28-ე წუთზე 0:3-ს(!) აგებდა „იანგ ბოიზთან“. მოგეხსენებათ, „მამლები“ პირველად აფრინდნენ ასე მაღლა, ასეთი სტარტი კი მათ მრავალრიცხოვან ქომაგთათვის ნოკდაუნის ტოლფასი იყო. საბედნიეროდ, დარჩენილ დროში საქმე ნოკაუტამდე აღარ მისულა, რასაც სტუმრები ბუმსონგსა და პავლიუჩენკოს უნდა უმადლოდნენ — 2:3. დაგვეთანხმებით, ასეთი შედეგი პრემიერლიგის ბინადართა საბოლოო წარმატების შანსებს ერთიორად ზრდის.

უეფას თასის ყოფილმა მფლობელმა „ზენიტმა“ სოლიდური ინვესტიციები განახორციელა ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ასპარეზობაში გასაბრწყინებლად და საამისოდ არც ფინანსები დაიშურა, არც სელექციონერთა მარიფათი. ვერ გეტყვით, რამდენად შეუწყობს მას ხელს ოცნების ახდენაში უკანასკნელი შენაძენი ბრუნო ალვეშის, სემაკისა და ბუხაროვის სახით, მაგრამ იმის თქმა კი თამამად შეიძლება, რომ ფრანგულ „ოსერთან“ პირველ მატჩში მოპოვებული გამარჯვება — 1:0 (კერჟაკოვი) ლუჩანო სპალეტის შეგირდებს ფავორიტის სტატუსს აკუთვნებს.

დანარჩენ წყვილებში შებმული ისტორიული მეზობლები — სკანდინაველები და ჩეხ-სლოვაკები ერთმანეთს ასე დასცილდნენ: „რუსენბორგი“ — „კოპენჰაგენი“ 2:1, „სპარტა“ — „ჟილინა“ 0:2.

**საპასუხო ბრძოლები ერთ კვირაში მოეწყობა.**

**გიორგი შოთაძე**

◎ ინტერნეტიდან

## ჰიმნი შეეშალა

**ჯერ კიდევ „ჩელსიში“ ოფიციალურ დებიუტამდე ისრაელელმა ნახევარმცველმა იოსი ბენაიუნმა უხეში შეცდომა დაუშვა — ახალწვეულთა ოფიციალური წარდგენის დროს თითოეულ მათგანს უნდა შეესრულებინა რომელიმე სიმღერა.**

ისრაელის ნაკრების კაპიტანმა ყველასათვის გასაოცრად წამოიწყო „ლივერპულის“ ჰიმნი. მას სიმღერა მაშინვე შეაწყვეტინეს და სთხოვეს, ემღერა ისეთი რამ, რაც დაკავშირებული არ იქნებოდა „ჩელსის“ მთავარ მეტოქეებთან. ბოლოს მან იმღერა ივრითის ენაზე.

## დაგვიანებული სასჯელი?

**მხოლოდ გუშინწინ გადაწყვიტა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ ამასწინანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთში საფრანგეთის ნაკრების ცუდი თამაშისთვის მისი მოთამაშეების ბედი, რომლებმაც ვერ მოიგეს ვერცერთი თამაში, სამაგიეროდ სულ ჩხუბობდნენ მწვრთნელთანაც და ერთმანეთთანაც.**

როგორც იტყობინებიან, დაისაჯა მხოლოდ ოთხი კაცი — თავდამსხმელი ნიკოლა ანელკა, მწვრთნელი საჯაროდ რომ შეურაცხყო, ვერ ითამაშებს ნაკრებში უახლოეს 18 შეხვედრაში, ნაკრების კაპიტანი პატრის ევრა — ხუთ მატჩში, ხოლო ნახევარმცველები ფრანკ რიბერი და ჟერემი ტულალანი — შესაბამისად სამ და ერთ მატჩში.

სხდომას ესწრებოდნენ მხოლოდ ევრა და ტულალანი. რიბერი არ გაუშვა მიუნხენის „ბავარიამ“. განხილვას დაესწრნენ აგრეთვე ნაკრების ყოფილი მწვრთნელი რაიმონ დომენეკი და ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი ჟან-პიერ ესკალეტი.



## წესიერი ქალიშვილი ვარ!

**ასე აცხადებს ცნობილი ბრიტანელი მოდელი ლიუსი პინდერი, რომელიც ფლობს ტიტულს „2009 წლის ბრიტანეთის საუკეთესო მკერდი“. მას ძალზე უყვარს ფოტოკამერის წინ გაშიშვლება.**



თავიდან საფრანგეთის ნაკრებისა და „საუთჰემპტონის“ თაყვანისმცემელმა უარი თქვა გაშიშვლებაზე და ყველანაირად იფარავდა ინტიმურ ადგილებს. თუმცა, ჰონორარის ზრდასთან ერთად ქრებოდა მისი მოკრძალებულობაც.

„წესიერი ქალიშვილი ვარ. გატიტვლებული იმიტომ კი არ ვიღებ სურათებს, რათა ყველას ვაჩვენო, თუ როგორ დამაჯილდოვა ბუნებამ, არამედ ბევრი ფულის საშოვნელად და სახარჯავად. ბებია მასწავლიდა, რომ ყველაზე ძლიერ აღაგზნებს შიშველი სხეული. ეროტიკის ამ მოსაზრებით პოპულარიზაცია მინდა!

◉ გატაცება



# ბაღი ბაღში

**დგანან და ელიან მუშტარს ავეჯის გადამტანი მანქანების მძღოლები, კოლმეურნეობის მოედანზე, ალექსანდრეს ბაღის მოსაზღვრედ უდგათ მანქანები და... ელიან... ზოგი ძელსკამზე ჩამომჯდარა, ზოგი დომინოს უჭახუნებს... ელიან...**

ამ დროს, ეს ჩვენი **ჯემალ ბალანაშვილი,** ზორბა ქიზიყელი კაცი, ალექსანდრეს ბაღის „პარლამენტის" წევრები რომ კარგა ხანია ვიცნობთ, თავის ბაღნარს დასტრიალებს, დიახ, დიახ, სწორედ მცირე ბაღნარი გააშენა თბილისის ამ უძველესი ბაღის ერთ კიდეზე ჯემალმა, დარგო და გაახარა ვაზი, ათასნაირი ყვავილი... და ახლა შეუძლებელია ამ მშვენიერ კუთხეს ყურადღება არ მიაქციოს გამვლელ-გამომვლელმა...

— რა ვქნა, კაცო, მიწა და მცენარე ჩემ მამა-პაპას უყვარდა, ვაქირში, ბოდბეში კაი მამულები ჰქონდათ, ჰოდა, მეც, ეტყობა, იმათი ჯიშისა ვარ, — შავგვრემანი სახე ებადრება ჯემალს.

— დარჩენილიყავი მერე იქა!..

— ეეე... სხვაგვარად წავიდა საქმე... მე უკვე თბილისელი ვარ, თბილისელებს ვემსახურები... თუმცა მიწასთან ურთიერთობას ვინ დამიშლის...

— რომ გაგიწყრეს გიგი უგულავა!.. — ვეხუმრებით, თუმცა კარგად ვიცით, ნეტა, ყველა ასე ეფერებოდეს განახლებულ ალექსანდრეს ბაღს, სადაც, სხვათა შორის, ძალუმად იგრძნობა ზოგ-ზოგების „კულტურა" — ყოველ დილით უამრავი ნაგავი გააქვთ დამლაგებლებს, პირდაპირ შუაგული ბაღიდან...

**თბილისი მიყვარსო, სწორედ ჯემალ ბალანაშვილისთანა ხალხმა უნდა დაიკვეხოს.**

**აფერუმ, ქიზიყელო!**

**ვილენ მარდალეიშვილი.**

**სურათზე: ჯემალ ბალანაშვილი თავის თბილისურ გაშენებულ ბაღში.**

◉ ინფორმაცია

## ზუგდიდთან ახალი ნაგავსაყრელი მოეწყობა

**რამაზ ნიკოლაიშვილი გუშინ სამეგრელოს ეწვია. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ზაზა გოროზიამ სამეგრელოს რეგიონში, ზუგდიდი-ხობის საზღვართან სოფელ ცაიში ახალ ნაგავსაყრელთან მისასვლელი საავტომობილო გზის 3 კმ-იან მონაკვეთზე მიმდინარე ბეტონის დაგების სამუშაოები დაათვალიერეს.**

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, ზუგდიდის მოსახლეობა წლების მანძილზე შეწუხებული იყო ქალაქში არსებული ნაგავსაყრელის გამო. გზის მშენებლობის დასრულების შემდეგ ნაგავსაყრელს ცაიში დაუსახლებელ ტერიტორიაზე გადაიტანენ, რაც ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს. გზაზე ახალი ცემენტ-ბეტონის საფარი დაიგება, გაკეთდება ხელოვნური ნაგებობები და წყალგამტარი მილები. ამჟამად, აღნიშნულ მონაკვეთზე მიმდინარეობს გზის ცემენტ-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ხევისჭალელები ხელისუფლებას მარტო არჩევნებზე ახსენდება

**ახმეტის რაიონის სოფელ ხევისჭალის მოსახლეობა 20 წელია ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი. უშუქობის გამო სოფელი ბევრმა ოჯახმა დატოვა. ამ დროისთვის ხევისჭალაში 18 ადამიანიღა ცხოვრობს. მათ დახმარებისთვის ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელს არაერთხელ მიმართეს, მაგრამ უშედეგოდ.**

**— ეგე, ბალღი 6 წლისაა და მულტფილმი არ იცის რა არი. ანთებული ნათურაც კი არ უნახავს, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ხევისჭალის მკვიდრმა თამრო ხუცურაულმა.**

— არჩევნები როცაა, მაშინ ამოვლენ ხოლმე მანქანებით. მოგვიტანენ ყუთს და გვეუბნებიან 5-იანი შემოხაზეთო. ბოლოს როცა ვიყავით გამგებელთან ჩასულები, ვუთხარით, ყურადღებას თუ არ მოგვაქცევთ და შუქს თუ არ გამოგვიყვანთ, სოფელში საარჩევნოდაც აღარ ამოხვიდეთო. იცით რა გვითხრა? თქვენი 10 ხმა არაფერს არ ცვლის და ჭკვიანად თუ არ იქნებით, რაც გაქვთ, იმასაც დაკარგავთო. რა გვაქვს, რა გაუკეთებია, რას გვაყვედრის? — კითხულობენ ხევისჭალის მაცხოვრებლები.

— ცოტა ხნის წინათ მეზობელი დააყაჩაღეს. ექიმის დახმარება სჭირდებოდა და სასწრაფომ აქ ამოსვლაზე უარი გვითხრა. გზა არვარგა და ვერ ამოვალთო. 5 000 ლარი იყო გამოყოფილი სოფლისთვის. სამი მანქანა ხევიდან ამოღებული ქვები დაყარეს და გაიხარჯაო ის ფული. ჩვენთვის მოეცათ, ჩვენ უკეთესად გავაკეთებდით. აბა გზა სად არის? არც ტრანსპორტი დადის. მოვიკიდებთ ხოლმე ზურგზე ხურჯინებს და ფეხით დავდივართ. თუ ავად გახდა ვინმე და ექიმი სჭირდება, იმ ტრაქტორს ხომ ხედავთ, სასწრაფოს მაგივრობას ეგ გვიწევს. დაგვსვამს ხოლმე გიორგი და ახმეტაში მივყავართ, — აღნიშნა მაგული დავითაშვილმა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის ვაჟა ნასყიდაშვილის განცხადებით, სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში ხევისჭალაში მისასვლელი გზა გაკეთდა და მანქანები უპრობლემოდ მოძრაობენ. — შუქს რაც შეეხება, ეგ, კახეთის ენერგოდისტრიბუციის საქმეა. ისინი კი თვლიან, რომ სოფელში რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს და მათთვის ელექტროენერგიის მისაწოდებლად სერიოზული თანხების დახარჯვა არ ღირს და პრიორიტეტული არ არის, — განაცხადა ახმეტის გამგებლის მოადგილემ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**რეკლამა**

**„საქართველოს რესპუბლიკაში"**

**99-62-77;**

**899 32-85-76.**

**გ. ახვლედიანის ქ. №19.**

**ნოდარ და გივი ემუხვარები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, ქართველ-აფხაზთა ძმობის ბურჯი**

**ლორიკ მარშანია**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს**

**ლორიკ მარშანიას**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

---

**საზოგადოება „ზუგდიდელი" (პრეზიდენტი — ოთარ ფაცაციაძე) ულრმესი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ცნობილი მეცნიერი, გულმხურვალე პატრიოტი, შესანიშნავი მოქალაქე და პიროვნება, ქართულ-აფხაზური ძმობის ბურჯი**

**ლორიკ მარშანია**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირი მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ქართულ-აფხაზური ისტორიული ურთიერთობის ქომაგის, ვეტერანული საზოგადოების გულშემატკივრის, სახელოვანი მამულიშვილის**

**ლორიკ მარშანიას**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**საქართველოს მხატვართა კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კავშირის წევრი**

**ჯემალ ხანთაძე**

**და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.**

---

**სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის" და შპს „პოლიგრაფ თბილისის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ ქეთო რაზმაძის მეუღლის**

**გიორგი რაზმაძის**

**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.**

◉ შიშად ქცეული საზღვარი

## შენივ მთავრობა რომ მიგატოვებს, რისი იმედი უნდა გქონდეს?

**შეიძლება ვინმემ გადაჭარბებულადაც ჩაგვითვალოს, მაგრამ ფაქტია, რომ „ვარდებით" მოსულებმა ქვეყნის საზღვრების დადგენაზე მუშაობა მეორეხარისხოვან საქმედ ჩათვალეს და ამ მხრივ საქმიანობა ფაქტობრივად შეაჩერეს. აღარ მუშაობენ მეზობელ სახელმწიფოებთან ერთად შექმნილი სადემარკაციო ერთობლივი კომისიები. ამით კი, უწინარესად, სწორედ ეს მეზობლები სარგებლობენ და საზღვარს თავიანთ სასარგებლოდ და ჩვენთვის საზიანოდ სწევენ.**

ამ განუკითხაობის შედეგად კი ჯერ კომუნისტების მიერ, ხოლო შემდეგ 2 წლის წინანდელი რუსული აგრესიის შემდეგ შეკვეცილი საქართველო „კეთილი მეზობლების" წყალობით კიდევ უფრო იჩაგრება. ასეა სომხეთთან და აზერბაიჯანთან მიმართებაში. საზღვართან ახლოს მცხოვრებნი ამბობენ, რომ, ჯერ ერთი, აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა თვითნებურად გაავლეს საზღვრის ზოლი მთელს პერიმეტრზე, ბოლო დროს კი მდინარე ალაზნის კალაპოტის სეზონურ ცვლასთან ერთად ცვლიან საგუშაგოებსაც, რასაკვირველია — თავიანთ სასარგებლოდ. მოსახლეობის არაერთგზის მიმართვის მიუხედავად, ამაზე არც ადგილობრივი ხელისუფლება რეაგირებს და, მით უმეტეს, არც ცენტრალური. სააკაშვილის გუნდის პოზიცია გასაგებია, ისინი ყოველმხრივ ცდილობენ, მდიდარ აზერბაიჯანთან ურთიერთობები არ გაირთულონ, მით უმეტეს, რომ საქართველოში ამ ეთნოსის 500 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს.

ამგვარად ლაქუცსა და წაყრუებას კი ზიანი მოაქვს საზღვრის განაპირა საქართველოს მოსახლეობისთვის. იციან რა დადგენილი საზღვარი, მათ საძოვრებზე გაჰყავთ საქონელი. მაგრამ მოულოდნელად ირკვევა, რომ აზერბაიჯანელ მესაზღვრეებს თურმე თვითნებურად შეუცვლიათ სადემარკაციო ხაზი. „ის, რაც გუშინ თქვენი იყო, დღეს ჩვენია", — ეუბნებიან ისინი ჩვენებურებს და ართმევენ სამწყსოს ფულს. ზოგჯერ სრულიად უკანონოდ რამდენიმე დღით აპატიმრებენ კიდევაც. „ზევით ყველამ ყველაფერი იცის, განმკითხავი კი არავინაა. იგივე მდგომარეობაა შეშის შეგროვების დროს და ა. შ.", — გულისტკივილით ამბობენ თავიანთივე მთავრობისგან მიტოვებულ-დავიწყებული იქაურები.

## ხელისუფლება — სირაქლემის პოზაში

**წელს, 13 აპრილს, სიღნაღის რაიონის სოფელ ერისიმედის მცხოვრები ახმედ გაურგაშვილი მოკლეს. შემთხვევა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე მოხდა. ოფიციალურად ეს ტერიტორია საქართველოსია, მაგრამ ამას ვინ დაგიდევს! აზერბაიჯანელმა მესაზღვრემ ჩათვალა, რომ ჩვენმა მოქალაქემ სახელმწიფო საზღვარი დაარღვია და პირდაპირი, ერთადერთი გასროლით გამოასალმა სიცოცხლეს 16 წლის ახალგაზრდა. აღსანიშნავია, რომ გამაფრთხილებელი გასროლაც არ ყოფილა. მომხდარზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ ამას იქით აღარაფერი გაკეთებულა,** — აცხადებენ ერისიმედელები.

საქონელი რომ წყალთან მიდის, მიახლოების გვეშინია, იქითა მხრიდან არ გვესროლონ. სამადლოდ ხელისუფლებამ სოფელში წყალი გაიყვანა. მასთან შეიარაღებული აზერბაიჯანელი მესაზღვრეები მიდიან. მაგ დროს წყალთან მიახლოების უფლება არ გვაქვს, შეიძლება გვესროლონ, — ამბობს სოფლის მკვიდრი მინდია თავართქილაძე. მისი გადმოცემით, ერისიმედი უპატრონოდაა მიტოვებული. ქართველი მესაზღვრეები კი თურმე თავის თავს იცავენ და საქართველოს მხრიდან სოფლის შემოსასვლელში არიან დისლოცირებულნი.

სოფლის მოსახლეობა ახმედ გაურგაშვილის მკვლელობის სასწრაფო გამოძიებას ითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში საპროტესტო აქციებით იმუქრება.

**ზაზა ბილიხოძე**

◉ კარიკატურისტის თვალით



— ნუ სვამ, ბაბუ, ამდენ ყავას, სამსახურში ადრე დაგეძინება...

ამირან ერაძის ნახატი.

### სულიერება

# ფერისცვალება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი




**19 აგვისტოს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ფერისცვალებას, რომელიც არის უფლის ამქვეყნიური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა.**

...იესო ქრისტეს ჯვარცმის დღე ახლოვდებოდა. იგი უნდა ვნებულიყო ადამიანთა ცოდვებისთვის. უფალმა იცოდა, რომ ბევრი ვერ გაუძლებდა მას, ბევრი დაკარგავდა სასოებას და საუკუნო ცხოვრების იმედს, ამიტომ ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ისინი რწმენით განემტკიცებინა.

...და აი, იესო ქრისტემ ამოირჩია პეტრე, იაკობი და იოანე და თაბორის მთაზე ავიდა სალოცავად. მაცხოვარს სურდა, მოციქულთათვის ეჩვენებინა, რომ ვინც სულიერად არ ამაღლდება, ის არც ღვთაებრივი დიდების ხილვის ღირსი არ გახდება.

...თავისი ფერისცვალებით უფალმა გვიჩვენა, თუ როგორ იქნებიან ადამიანები მომავალ ცხოვრებაში, ცათა სასუფეველში თუ როგორ გარდაისახება ჩვენი მიწიერი ყოფა სამომავლოდ.

ფერისცვალების სადღესასწაულო ღვთისმსახურებაზე ეკლესია ფსალმუნებითა და განსაკუთრებული ლოცვა-საგალობლებით ადიდებს უფლის ყოვლისშემძლეობას, მის სახიერებას, კაცთმოყვარეობას, რაც ადამიანთა მოდგმის ხსნაში გაცხადდა.

თაბორის მთაზე ლამაზი არაა არის რა, დგას იგი მარტო... უდაბნოში! დგას ის ნაზარეთიდან 7-ოდე კილომეტრის დაშორებით, ათასგვარი ხეებითა და კეთილსურნელოვანი ყვავილებით დაფარული, როგორც საკვირველი დასაგები ფეხქვეშ დიდებით ფერშეცვლილი უფლისათვის — სწორედ ამ ადგილას იცვალა სახე უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ.

**გიული ლიპარტია**

### დალიცხული კაცის ლექსპრომტი

## „ფერისცვალების“ იმედად

*ცხელა, ცხელა —*
*ლაშლაშია ტიტლიკანა ქალების,*
*ცხელა, ცხელა —*
*ბრჭყვიალია ზურმუხტის და*
*ლალების,*
*ცხელა, ცხელა —*
*არ ხერხდება გასტუმრება*
*ვალების,*
*19-იდან იმედი მაქვს,*
*ისევ „ფერისცვალების“!*

**ვილენ მარდალეიშვილი**

### ინფორმაცია

# ფული – მძიმე ტვირთი

**ავტორიტეტულ ჟურნალ „ფორბსში“ გამოქვეყნებული რეიტინგით, ცნობილი ქართველი ბიზნესმენი და ქველმოქმედი ბიძინა ივანიშვილი პოსტ-საბჭოური სივრცის ქვეყნების ყველაზე მდიდარ ადამიანთა სამეულშია.** მისი ქონება 4,8 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. აღნიშნული სიის პირველ სტრიქონზეა 15 მილიარდი დოლარის ქონების პატრონი **ვლადიმერ ლისინი,** მეორეზე – უკრაინაში მოღვაწე **რინატ ახმეტოვი** 5,2 მილიარდი დოლარით.

**საგულისხმო ფაქტი:** ჟურნალში მოყვანილია ბატონ ბიძინა ივანიშვილის ციტატა: „ფული – ესაა მძიმე ტვირთი, რომელსაც გამუდმებით მოვლა სჭირდება“.

## ამინდი დღეს



| | |
|---|---|
| თბილისი. | +23 – +35 |
| ქუთაისი. | +23 – +37 |
| ბათუმი. | +23 – +30 |
| ზუგდიდი. | +22 – +34 |
| თელავი. | +20 – +32 |



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8455 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3676 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8795 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.0609 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.0238 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2963 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.3390 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2114 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7202 ლარი |



### ანეკდოტები

– ნურასოდეს ნუ ეცდები გაიგო ის, რის გაგებასაც ვერ შეძლებ.
– ვერ გავიგე...
– და ნურც ეცდები!

* * *

– მამი, შენი პროგნოზები მუდამ მართლდება ხოლმე? – ეკითხება შვილი სინოპტიკოს მამას.
– კი, ოღონდ ის არის, რომ რიცხვები ყოველთვის არ ემთხვევა...

* * *



– ივან, რამდენ ლიტრ ლუდს სვამ დღეში? – ეკითხება პაციენტს კარდიოლოგი.
– 4 ლიტრს.
– რატომ? მე ხომ მხოლოდ ორი ლიტრის უფლება მოგეცი.
– კიდევ ორის უფლება თერაპევტმა მომცა.

* * *

როგორც ჩვენი ტექნიკის უსაფრთხოების ინჟინერი ამბობს, არაფერი არ ახარებს თვალს ისე, როგორც მეორე თვალი.

* * *

– მარო, ჩქარა მოდი, დედაშენი ბანანის ქვლებით იხრჩობა! – ურეკავს პატარა მიხო დაქალს.
– ბანანში ქვლებს რა უნდოდა?
– მე შევურჭვე!

### დღის კალენდარი

## 19 აგვისტო



ამოდის 05.12
ჩადის 18.57



ამოდის 14.52
ჩადის 23.54

## დაიბადნენ:

**1646 – ჯონ ფლემსტედი,** ინგლისელი ასტრონომი. 1675 წელს მან დააარსა ცნობილი გრინვიჩის ობსერვატორია. გარდაიცვალა 1691 წელს.
**1696 – ვახუშტი ბაგრატიონი,** დიდი მეცნიერი-ენციკლოპედისტი. გარდაიცვალა 1757 წელს.
**1780 – პიერ ჟან დე ბერანჟე,** ფრანგი პოეტი.
**1810 – გიორგი ერისთავი,** 1832 წლის შეთქმულების თავკაცთაგანი. გარდაიცვალა 1870 წელს.
**1871 – ორვილ რაიტი,** ავიაციის ერთ-ერთი პიონერი.
**1877 – სიმონ ამირეჯიბი,** მეცნიერი, ბაქტერიოლოგიისა და ჰიგიენის ფუძემდებელი საქართველოში. გარდაიცვალა 1936 წელს.
**1883 – გაბრიელ (კოკოძ შანელი,** ცნობილი ფრანგი პარფიუმერი. გარდაიცვალა 1971 წელს.
**1946 – ბილ (უილიამძ ჯეფერსონ კლინტონი,** შეერთებული შტატების პრეზიდენტი 1993-2000 წლებში.

## გარდაიცვალნენ:

**1662 – ბლეზ პასკალი,** გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი, მათემატიკოსი და ფიზიკოსი.
**1936 – ფედერიკო გარსია ლორკა,** თვალსაჩინო ესპანელი პოეტი და დრამატურგი.
**1994 – ლაინუს პოლინგი,** ამერიკელი ქიმიკოსი და ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ქიმიასა (1954ძ და მშვიდობის დარგში (1962ძ.

## მოვლენები:

**1692** – ჩრდილოეთ ამერიკის ქალაქ სეილემში ხუთი ქალი ჯადოქრობისთვის კოცონზე დაწვეს.
**1787** – ბრიტანელმა ასტრონომმა უილიამ ჰერშელმა აღმოაჩინა ენცელადუსი – სატურნის თანამგზავრი.
**1839** – სანკტ-პეტერბურგის ახლოს გაიხსნა პულკოვოს ასტროფიზიკური ობსერვატორია.
**1919** – გამოცხადდა ავღანეთის დამოუკიდებლობა.
**1944** – პარიზი აჯანყდა გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ.
**1966** – აღმოსავლეთ თურქეთში მიწისძვრამ 2.529 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.
**1988** – შეწყდა ირან-ერაყის რვაწლიანი ომი.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**ავღანეთი** – დამოუკიდებლობის დღე.
**აშშ** – ავიაციის ეროვნული დღე.
**ვიეტნამი** – 1945 წლის რევოლუციის დღე.
**ვინალია** – მევინეობის დღესასწაული ძველ რომში.

**მედიანიუსი**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

### კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.